1949
F 1093

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წლიწადი მეთორმეტე

№ 5—6 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1949 წ.

## შინაარსი

გვ.

1. ბრძანება № 1180—სკოლებისა, განათლების განყოფილებებისა და ასსრ განათლების სამინისტროების ანგარიშგების შესახებ . . . . . . . . . . 3
2. დანართი № 1. მასობრივი სკოლების მუშაობის შესახებ . . . . . . . 5
3. დანართი № 2. სასწავლო წლის პირველი ნახევრისათვის . . . . . . . 10
4. დანართი № 3. სასწავლო წლის შედეგებისათვის . . . . . . . . . . 12
5. დადგენილება—1949 წლის ივლისის რესპუბლიკური თათბირისა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 14
6. ბრძანება № 2006—1949—50 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდთათბირების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
7. ბრძანება № 2456—ქ. თბილისის ზოგიერთი საბავშვო ბაღის მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
8. ბრძანება № 2501—პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. 27
9. ბრძანება № 2504—სკოლების ფიზიკური აღზრდის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. . . . . . . . . . . . . . . . 34
10. ბრძანება № 2576—სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი, 1949—50 სასწავლო წლისათვის მომზადებასთან დაკავშირებით . . . 37
11. ბრძანება № 2305—ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ . . 45
12. ბრძანება № 2359—საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაშლის შესახებ . . . . . . . . . . . . . 47
13. ბრძანება № 2424—საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 49
14. სკოლის ამოცანების შესახებ 1949—1950 სასწავლო წელს. . . . . . . 52
15. სასწავლო გეგმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 68

თბილისი — 1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

უე06347 შეკვ. № 1624 ტირაჟი 2000

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI—49 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 5,7.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიულ მრეწველობისა, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1180

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წ. 4 ივნისი

შესაცვლელად 1944 წლის 30 აგვისტოს (№ 2341) ბრძანებისა „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე სკოლებისა, განათლების განყოფილებებისა და ასსრ განსახკომების ანგარიშგების შესახებ“, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

ა) დაწესდეს, რომ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლები სასწავლო წლის განმავლობაში განათლების განყოფილებებს ორჯერ უდგენენ ანგარიშს შემდეგ ვადებში:

**ა) სასწავლო წლის პირველი ნახევრის შესახებ—10 იანვრამდე;**

**ბ) მთელი სასწავლო წლის შედეგების შესახებ—1 ივლისამდე.**

§ 2

თავის მხრივ, განათლების განყოფილებანი და ასსრ განათლების სამინისტროები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ უდგენენ ანგარიშს, შემდეგ ვადებში:

**ა) სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ—25 იანვრამდე;**

**ბ) მთელი სასწავლო წლის შედეგების შესახებ—15 ივლისამდე.**

§ 3

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი სქემა, რომლის მიხედვით უნდა შედგეს განათლების განყოფილებათა და ასსრ განათლების სამინისტროთა მიერ სასწავლო წლის პირველი ნახევრისა და სასწავლო წლის შედეგების შესახებ წერილობითი ანგარიშები,—დამტკიცდეს (დანართი № 1).

§ 4

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ანგარიშების შედგენის დროს მტკიცედ დაიცვან ამ ბრძანებით დადგენილი ვადები და ამასთან ანგარიშები ზუსტად აგონ დაწესებული სქემის მიხედვით (იხილეთ დანართი № 1).

ბ) ანგარიშების შედგენის დროს ფართოდ გამოიყენონ სკოლების გამოკვლევის საინსპექტორო მასალები.

§ 5

ვავალებ განათლების სამინისტროს ყველა სათანადო განყოფილებათა უფროსებს თანხლებული სქემის შესაბამისად, თავიანთი მუშაობის ხასიათის სპეციფიურობის გათვალისწინებით, მოსთხოვონ განათლების განყოფილებებს ანგარიშები ამ ბრძანების § 1-ით გათვალისწინებულ ვადებში.

§ 6

აიკრძალოს განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე სკოლებისაგან სხვა ანგარიშების მოთხოვა, გარდა ამ ბრძანების § 1 დაწესებული ანგარიშებისა.

§ 7

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ დააწესოს კონტროლი განათლების განყოფილებებსა და სკოლებზე ამ ბრძანების შესრულების საქმეში და მიაღწიოს იმას, რათა ანგარიშები დროულად შედგეს და შინაარსობლივად მაღალხარისხოვანი იყოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

# სქემა მასობრივი სკოლების მუშაობის შესახებ წარსადგენი ანგარიშებისა

## თითოეული ანგარიში შემდეგი სქემით უნდა შედგეს:

## I. სასწავლო წლისათვის მზადება

ა) **სასკოლო მშენებლობა**—რამდენი სასკოლო შენობა შენდებოდა რაიონში და მათგან რამდენი იქნა დამთავრებული ახალი სასწავლო წლისათვის; როგორი იყო მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა სასკოლო მშენებლობის საქმეში;

ბ) **სასკოლო შენობათა შეკეთება და სკოლის ეზო-გარემოს კეთილმოწყობა**—რამდენი სასკოლო შენობა შეკეთდა კაპიტალურად, რამდენ სკოლაში ჩატარდა შენობის მიმდინარე შეკეთება, რამდენი სკოლა დარჩა შეუკეთებელი და რა მიზეზით; რა გაკეთდა სკოლების ეზო-გარემოს კეთილმოწყობის მიმართულებით; როგორი იყო მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა სასკოლო შენობათა შეკეთებისა და სკოლის ეზო-გარემოს კეთილმოწყობის საქმეში;

გ) **სასკოლო დგამ-ავეჯის შეძენა**—რამდენი ახალი მერხი, დაფა და კარადა იქნა შეძენილი, რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილნი დგამ-ავეჯით; რომელ სკოლას რა რაოდენობით აკლია (აკლდა) დგამ-ავეჯი და რა მიზეზით;

დ) **სკოლების უზრუნველყოფა სათბობი მასალით**—რამდენად არიან (იყვნენ) უზრუნველყოფილნი სკოლები სათბობი მასალით, რომელ სკოლებს არა აქვთ (არა ჰქონდათ) სათბობი ან აქვთ (ჰქონდათ) არასაკმაო რაოდენობით და რა მიზეზით.

## II. პედაგოგიური კადრები

ა) რა უმთავრესი ხასიათის ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ახალი სასწავლო წლიდან სკოლების მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების დარგში;

ბ) რა საგნის მასწავლებელი აკლია (აკლდა) სკოლებს, რა დროის განმავლობაში;

გ) როგორ არიან (იყვნენ) მასწავლებლები უზრუნველყოფილნი კომუნალური მომსახურეობით (ბინა, გათბობა, განათება);

დ) რამდენი საცხოვრებელი სახლი აშენდა მასწავლებელთათვის.

## III. სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით

ა) რა სახელწოდების სახელმძღვანელო წიგნები აკლია (აკლდა) მოსწავლეებს და რა მიზეზით;

ბ) რა დაბრკოლებებს აქვს (ჰქონდა) ადგილი წიგნებით ვაჭრობის საქმეში;

გ) რამდენად არიან (იყვნენ) სკოლები უზრუნველყოფილნი რვეულებით, ფანქრებითა და სხვა სასწავლო ნივთებით;

დ) როგორ მარაგდებიან სასწავლო კაბინეტები იარაღ-მოწყობილობით და სასკოლო ბიბლიოთეკები წიგნებით, რა დაბრკოლებებს აქვს ამ მხრივ ადგილი.

## IV. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება

ანგარიშში ვრცლად უნდა გაშუქდეს ადგილობრივი ხელმძღვანელ ორგანოებისა და კერძოდ, განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში მთლიანად ჩაბმის უზრუნველსაყოფად, სახელდობრ:

ა) სულ რამდენი მოსწავლე უნდა გამოცხადებულიყო სექტემბრიდან სკოლებში ცალკე კლასების მიხედვით, რამდენი გამოცხადდა, რამდენი მოსწავლე ჩამოშორდა პირველი ნახევრის (წლის) განმავლობაში სკოლას და რა მიზეზით;

ბ) ცალკე კლასების მიხედვით რამდენ მოსწავლეს ჰქონდა მიცემული საშემოდგომო გამოცდა, რამდენმა ჩააბარა გამოცდა, რამდენი საშემოდგომო გამოცდამიცემული მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში და რა მიზეზით;

გ) გასულ სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასში დატოვებულ მოსწავლეებისაგან რამდენი არ გამოცხადდა სკოლაში;

დ) რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სასწავლო წლის ბოლოს მე-4 კლასებში და რამდენი უნდა ყოფილიყო ჩაბმული სექტემბერში მე-5 კლასებში, ფაქტიურად რამდენი ჩაირიცხა მე-5 კლასებში, რამდენი დარჩა სკოლის გარეშე, რა მიზეზით; რამდენად არის უზრუნველყოფილი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება რვაწლიანი სკოლის ფარგლებში.

შენიშვნა: მოსწავლეთა რაოდენობისა და მათი მოძრაობის შესახებ შემოწმებული მასალების საფუძველზე სასწავლო წლის პირველ ნახევრისათვის უნდა შეივსოს სათანადო ფორმა № 2, ხოლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ—ფორმა № 3.

## V. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა

ა) დედაენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, სამოქალაქო ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვ. სასწავლო საგნების სწავლების დონის დახასიათება კონკრეტული მაგალითების საფუძველზე: როგორ შესრულდა სასწავლო წლის I ნახევარსა და წლის ბოლოსათვის დაწესებული პროგრამული მასალების შესწავლა, რომელ საგანშია ჩამორჩენა, რა მიზეზით, რა ზომებია მიღებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ანგარიშში ვრცლად უნდა იქნეს ნაჩვენები, თუ:

იდეოლოგიური მუშაობის საკითხების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით დასახულ ამოცანების შესაბამისად, როგორ გარდაიქმნა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმე, როგორი მიღწევებია მოპოვებული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის დარგში;

როგორ გარდაიქმნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად ბიოლოგიის სწავლება მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე;

როგორ ისწავლება ფიზიკა, ქიმია და როგორ ხორციელდება განათლების სამინისტროს დირექტივები ამ საგნების სწავლებისას თვალსაჩინოებისა და ექსპერიმენტების გამოყენების შესახებ;

როგორ მიმდინარეობს სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, რომელ სკოლაშია ამ მხრივ კარგი მდგომარეობა და რომელ სკოლაში რა სახის დამახინჯებას აქვს ადგილი.

შენიშვნა: I და II მეოთხედში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შესახებ უნდა შეივსოს თანხლებული ფორმა № 2, ხოლო წლიური შემოწმებითი გამოცდების შედეგების შესახებ უნდა შეივსოს ფორმა № 3.

ბ) როგორი მიღწევებია მოპოვებული აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და რა ნაკლოვანებებს აქვს ამ მხრივ ადგილი.

რა სახის აღმზრდელობითი მუშაობას ატარებენ კლასის ხელმძღვანელები და როგორ შედეგებს აღწევენ მოსწავლეებში წესიერი ქცევისა და კულტურული ჩვევების გამომუშავების დარგში;

როგორ ხორციელდება „წესები მოსწავლისათვის“ სკოლაში და რა თვალსაჩინო შედეგებია ამ მხრივ მოპოვებული. დისციპლინის დარღვევების რა შემთხვევებს ჰქონდა ადგილი და სკოლის მიერ რა ღონისძიებანი იქნა დასახული არსებული დეფექტების გამოსასწორებლად;

გ) როგორ არის დაყენებული სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმე;

დ) როგორ არის დაყენებული სკოლებში მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საქმე.

## VI. სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა

ა) რა დახმარება ეწევა მასწავლებლებს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში; რა სახის ლექციები, მოხსენებები და საუბრებია ჩატარებული ამ მიზნით;

ბ) რა მეთოდურ-პედაგოგიური ხასიათის დახმარება ეწევა მასწავლებლებს პედაგოგიური დახელოვნების დარგში. კერძოდ, როგორ მუშაობს ამ მიმართულებით რაიონის (ქალაქის) პედაგოგიური კაბინეტი;

გ) სასწავლო წლის პირველ ნახევარში (წლის განმავლობაში) განათლების განყოფილების მიერ რამდენი სკოლა იქნა შემოწმებული, რა დეფექტები იქნა შემჩნეული და რა ღონისძიებანი იქნა გატარებული ამ დეფექტების გამოსასწორებლად;

დ) როგორ ხორციელდება დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი; როგორია მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი და მიცემული მითითებანი;

ე) როგორ მუშაობენ სკოლაში პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კომისიები.

## VII. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა

ა) როგორ ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივები მოსწავლეთა საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო სამუშაოებით დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ. როგორი ურთიერთობა არსებობს სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებს (ბავშვთა ტექნიკური სადგური, პიონერთა სახლი, პიონერთა და მოსწავლეთა კლუბი და სხვ.) შორის;

როგორ არის მოწესრიგებული ამ დაწესებულებებში სწავლების და შრომის ორგანიზაცია და მიღწევებთან ერთად რა დეფექტები ახასიათებთ მათ მუშაობას;

ბ) რა სახის წრეები არსებობენ სკოლებში და როგორ მუშაობენ ისინი;

გ) როგორ მუშაობენ სასკოლო ბიბლიოთეკები;

დ) როგორ არის დაყენებული მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა; რა დახმარებას უწევს მშობელთა კომიტეტი სკოლას;

ე) როგორ დახმარებას უწევს სკოლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები კომკავშირის ორგანიზაციას, პიონერთა ორგანიზაციას, მოსწავლეთა კომიტეტს;

ვ) მეცადინეობიდან თავისუფალ დროს როგორ არის ორგანიზებული მოსწავლეთა კულტურული დასვენება და სხვადასხვა სანახაობებზე დასწრება;

ზ) რა სახის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ტარდება სკოლებში.

**დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

სასწავლო წლის პირველი ნახევრისათვის

## მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების საალრიცხვო ფურცელი

. . . . . . . . . . ქალაქის . . . . . რაიონის . . . . . . . . . .

(სრული დასახელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მოსწავლეთა მოძრაობა / I და II მეოთხედის აკადემიური წარმატ. | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლის დასაწყისის 5/IX . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მოსწავლეთა რაოდენობა 30/XII . . . . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| რამდენი მოსწავლე იქნა მიღებული სასწავლო წლის I ნახევარში | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| რამდენი წინაწლებში განთესილი მოსწავლე იქნა დაბრუნებული სკოლაში სასწ. წლის I ნახევარში . . . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| რამდენი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას სასწ. წლ. I ნახევარში | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მათ შორის | რამდენი გადავიდა სხვა უწყების სკოლაში . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | რამდენი გადავიდა სხვა რაიონში . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | რამდენი ჩამოშორდა ავადმყოფობით . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | რამდენი განითესა . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| I მეოთხედში ა) რამდენი მოსწავლე ასწრებს . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მათ შორის | „5“ | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | „4“ | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ) რამდენი მოსწავლე ვერ ასწრებს . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | |
| მათ შორის | ერთ საგანში . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | |
| | ორ საგანში . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | სამ საგანში . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ოთხსა და მეტ საგანში . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | II მეოთხედში<br>ა) რამდენი მოსწავლე ასწრებს . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მათ შორის | „5" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | „4" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ბ) რამდენი მოსწავლე ვერ ასწრებს . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მათ შორის | ერთ საგანში . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ორ საგანში . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | სამ საგანში . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | |
| | ოთხსა და მეტ საგანში . . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | |

დანართი № 3.

სასწავლო წლის შედეგებისათვის

**მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების საანგარიშო ფურცელი**

. . . . . . . . . ქალაქის . . . . . . . . . რაიონის . . . . . . . . . . . . . . . . . სკოლის

(სრული სახელწოდება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მოსწავლეთა მოძრაობა / გამოცდების შედეგები | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლის დასაწყისში . . . . . | | | | | | | | | | | | | |
| რამდენი მოსწავლე იქნა მიღებული 5/IX-დან წლის განმავლობაში | | | | | | | | | | | | | |
| რამდენი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას წლის განმავლობაში . . | | | | | | | | | | | | | |
| მათ შორის | რამდენი გავიდა სხვა სკოლაში . . . . . . . . | | | | | | | | | | | | |
| | რამდენი გაირიცხა სკოლიდან . . . . . . . . . | | | | | | | | | | | | |
| | რამდენი გავიდა ავადმყოფობით . . . . . . . . | | | | | | | | | | | | |
| | რამდენი განითესა . . . . . . . . . . . . | | | | | | | | | | | | |
| მოსწავლეთა რაოდენობა წლის დამთავრებისას (18/V) . . . . . | | | | | | | | | | | | | |
| მათ შორის მეორეწლიანები . . . . . . . . . . . . . . . | | | | | | | | | | | | | |
| რამდენი მოსწავლე იქნა დაშვებული გამოცდებზე . . . . . . . | | | | | | | | | | | | | |
| რამდენი მოსწავლე არ იქნა დაშვებული გამოცდებზე . . . . . | | | | | | | | | | | | | |
| რამდენი XI კლ. მოსწავლე მოიხსნა გამოცდებიდან . . . . . | | | | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლიური შემოწმებითი გამოცდების შედეგად | ასწრებს ყველა საგანში . . . . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | მათ შორის აქვს „5" ყველა საგანში . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | აქვს „4" ყველა საგანში . . . . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | გადაყვანილია შ მდეგ კლასში . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ვერ ასწრებს—სულ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მათ შორის | ერთ საგანში | აქვს „2" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | | აქვს „1" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ორ საგანში | აქვს „2" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | | აქვს „1" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | სამ და მეტ საგანში | აქვს „2" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | | აქვს „1" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | მიეცა საშემოდგომო გამოცდები . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | დატოვებულია იმავე კლასში . . . . . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მეორეწლიანთა შორის | გადაყვანილია შემდეგ კლასში | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | დატოვებულია იმავე კლასში | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

ვამტკიცებ,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1949 წლის 13 ივლისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

**საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების 1949 წლის ივლისის რესპუბლიკური თათბირისა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.**

მოისმინა რა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ვ. კუპრაძის მოხსენება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალ, 1949—50, სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრთა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურ თათბირს, 1949—50 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების მიზნით, საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

**1. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების დარგში:**

ა) 1949—1950 წლიდან დაწყებულ იქნეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება სოფლად რვაწლიანი, ხოლო ქალაქად საშუალო სკოლების ფარგლებში; ამის შესაბამისად დაზუსტებული იქნეს სოფლად მე-5, ქალაქად კი მე-9 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და პირველი სექტემბრიდან უზრუნველყოფილი იქნეს ამ მოსწავლეთა მთლიანად ჩაბმა სკოლებში;

ბ) მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები, რათა მთლიანად იქნეს ჩაბმული სწავლებაში სოფლად რვაწლიანი სკოლის ასაკისა, ქალაქად კი საშუალო სკოლის ასაკის ის ბავშვები, რომლებიც წინა წლებში იქნენ განთესილნი, ამასთან 1949—1950 სასწავლო წლის

განმავლობაში სრულად იქნეს შენარჩუნებული შესაფერ კლასებში მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი;

გ) ზუსტად იქნეს აღრიცხული სოფლისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ჩასაბმელი მოსწავლენი და საჭირო ღონისძიებანი გატარდეს მათ გასაერთიანებლად ამ სკოლების სათანადო კლასებში;

დ) სასწავლო წლის დაწყებიდან მტკიცედ იქნეს დაცული განათლების სამინისტროს მითითებანი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის შესახებ და უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის იმგვარად წარმოება, რომ იგი ნათელ სურათს იძლეოდეს მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ;

სისტემატურად შემოწმდეს სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობა და მიღებულ იქნეს საჭირო ზომები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

## 2. მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის დარგში

ა) 20 ივლისამდე დამთავრდეს თავისუფალ ადგილებზე მასწავლებლების განაწილება-დანიშვნა;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მასწავლებლების შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა, განკარგულებებისა და მითითებათა შესრულებას;

მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინების დროულად ასაგებად;

გატარდეს ღონისძიებანი მასწავლებელთა მატერიალური-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, კერძოდ, არაადგილობრივი მასწავლებლობა უზრუნველყოფილი იქნეს უფასო კომუნალური მომსახურეობით (ბინით, გათბობა-განათებით);

არ იქნეს დაშვებული ხელფასის დაგვიანების არც ერთი შემთხვევა;

გ) ამ თავითვე იქნეს დასახული ღონისძიებანი და უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო პირობები, რათა ახალი სასწავლო წლიდან არსებითად გაუმჯობესდეს მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის;

დ) თათბირზე წარმოდგენილი, მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების დღისწესრიგი, მოწონებულ იქნეს; დასახულ იქნეს ღონისძიებანი აგვისტოს თათბირების მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის.

## 3. სახელმძღვანელო წიგნებით, სასწავლო კაბინეტებით, ბიბლიოთეკებითა და სასწავლო მახალებით სკოლების უზრუნველყოფის დარგში

ა) ყველა ზომა იქნეს მიღებული, რათა უზრუნველყოფილი იქნეს 105 სახელწოდების სახელმძღვანელო წიგნის დროულად გამოცემა 3.100.000 ტირაჟით;

ბ) ახალი სასწავლო წლისათვის სკოლები დროულად იქნეს უზრუნველყოფილი სასწავლო პროგრამებით, საკლასო ჟურნალებით; მოსწავლეთა „პირადი საქმეებით", ყოფაქცევისა და წარმატების აღრიცხვის ჟურნალით, სკოლის დღიურით, მოსწავლეთა დღიურით, მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალითა და სხვა საჭირო სასკოლო დოკუმენტებით;

გ) 1949 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხების ფარგლებში დროულად იქნეს შერჩეული სკოლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და უზრუნველყოფილი იქნეს მათი ადგილებზე გაგზავნა; აღკვეთილი იქნეს ისეთი ხელსაწყოების და სასწავლო ნივთების მიწოდება სკოლებისათვის, რომლებიც სკოლებს მოცემულ რაიონსა და ქალაქში არ ესაჭიროება;

დ) ასევე, დროულად იქნეს დაკომპლექტებული სასკოლო ბიბლიოთეკები კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით, მაქსიმალურად იქნეს ამ მიზნით გამოყენებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილებზე სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების განაწილებას; განათლების განყოფილებებმა სისტემატური კავშირი დაამყარონ სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილობრივ გამგეობებსა და „საქწიგნის" მაღაზიებთან, ახალი წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები მიღებისთანავე პირადად გაანაწილონ სკოლათა შორის და უზრუნველჰყონ თითოეული ბავშვი ამ წიგნებით ყოველ სკოლაში; აკრძალული იქნეს სახელმძღვანელო წიგნების რეზერვის შექმნა, 15 აგვისტოდან წიგნებით ვაჭრობა წარმოებული იქნეს თავისუფალი წესით.

## 4. სასკოლო შენობისა და დგამ-ავეჯის შეკეთების დარგში

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 მაისის დადგენილებით დამტკიცებული სასკოლო შენობებისა და საბავშვო დაწესებულებების შეკეთების გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით, განათლების განყოფილებებმა მშრომელი საზოგადოებრიობისა, სოფლსაბჭოების და კოლმეურნეობების გამგეობის დახ-

მარებით სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის შეკეთება სავსებით დაამთავრონ 25 აგვისტოსათვის;

ბ) დაწესდეს მტკიცე კონტროლი სასკოლო შენობისა და სასკოლო დგამ-ავეჯის შეკეთებისათვის გათვალისწინებული თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, გატარებული იქნეს ღონისძიებანი, რათა შეკეთება მაღალხარისხოვნად დამთავრდეს;

გ) დაწესებულ ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი ახალი მერხების, დაფების, სკამების, მაგიდებისა და სხვა ავეჯის დამზადება და ამ საჭიროებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხის მთლიანად გამოყენება;

დ) სათანადო ყურადღება მიექცეს სკოლის შენობათა მოვლა-დაცვას, კარმიდამოს, სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებას, ნარგავების მოვლას, ახალ სასწავლო წლისათვის შემოირაგვოს და დასუფთავდეს სასკოლო ეზოები;

ე) სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით, შეკეთების დამთავრებისას დაირეცხოს იატაკები, კედლები, ჭერი, ფანჯრები სასკოლო ავეჯი და სრულ წესრიგში იქნეს მოყვანილი სასკოლო საპირფარეშოები;

ვ) მიღებულ იქნეს ზომები, რათა საწარმოთა ადმინისტრაციებმა უზრუნველჰყონ მუშა-ახალგაზრდობის სკოლების შენობების დროულად შეკეთება და სასწავლო კაბინეტების მოწყობა, ხოლო კოლმეურნეობებმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლის ნორმალური პირობების შექმნა და ამ სკოლების უზრუნველყოფა სათბობით.

5. სკოლების სათბობით მომარაგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1949 წლის 19 მაისის დადგენილების შესაბამისად, ამთავითვე იქნეს მიღებული ზომები სკოლების ზამთრის სეზონში საკმარისი სათბობით მოსამარაგებლად, იმ გვარად, რომ საჭირო სათბობის 50% მიზიდული იქნეს სკოლაში 1 სექტემბრისათვის, ხოლო დანარჩენი 50%— არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.

6. სასკოლო მშენებლობის გეგმათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ფართოდ იქნეს გამოყენებული ადგილზე არსებული საამშენებლო მასალები და მშენებლობაზე დაწესებული იქნეს სისტემატური კონტროლი.

7. განათლების განყოფილებებმა:

ა) ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების საქმეს, ხშირად და ყოველმხრივ შეამოწმონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა

F 1093

ყოველ სკოლაში და დახმარება გაუწიონ ადგილებზე სკოლებს შემჩნეულ დეფექტების გამოსწორების საქმეში;

ბ) ფართოდ ჩააბან სკოლების მზადებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოებანი, კოლმეურნეთა მასები, გაშალონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება; სისტემატურად დასვან საკითხი ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების მიმდინარეობის შესახებ რაისაბჭოსა და რაიკომის ბიუროს სხდომებზე და გაატარონ ღონისძიებანი არსებული დეფექტების გამოსასწორებლად;

გ) გააშუქონ სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხები ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში და რადიოში, აღნიშნონ მზადების საქმეში მოწინავე სკოლები, წარმოებანი და ორგანიზაციები;

დ) ანგარიშები სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 20/VII, 5/VIII და 20/VIII.

8. თათბირი საჭიროდ თვლის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა ახალი სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის აუცილებლად იქონიონ: 1. საინვენტარო წიგნი, რომელშიც აღრიცხული უნდა იქნეს სკოლის მთელი ქონება, 2. კაბინეტებისა და ლაბორატორიის მთელი ქონების კატალოგი, დაწესებული ფორმით, 3. ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგი, 4. მოსწავლეთა „პირადი საქმეები“, 5. საკლასო ჟურნალები, 6. მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების აღრიცხვის ჟურნალები, 7. მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; 8. სკოლის დღიური, 9. სკოლის მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის სააღრიცხვო ჟურნალი, 10. სკოლის ბრძანების წიგნი.

9. ასსრ განათლების სამინისტროებმა, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა მ/წ. 5—10 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საბოლოო ანგარიში.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სისტემატურად შეამოწმოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა და საჭირო დახმარება გაუწიოს რაიონებსა და ქალაქებს დასახული გეგმების შესრულების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2006

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 13 ივლისი

**1949—50 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდთათბირების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ვბრძანებ:**

§ 1

მოწვეული იქნეს მასწავლებელთა ორდღიანი საქალაქო და რაიონული მეთოდთათბირები 23-დან 25 აგვისტომდე.

§ 2

მეთოდთათბირების პლენარულ სხდომებზე განხილული იქნეს შემდეგი საკითხები:

ა) 1948—49 სასწავლო წლის შედეგები და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი (მომხს. განათლების განყოფილების გამგე);

ბ) სკოლების ამოცანები საკავშირო ალკკ XI ყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით (მომხს. განათლების განყ. ინსპექტორი ან ერთერთი მოწინავე სკოლის დირექტორი);

მოხსენებაში პირველი საკითხის შესახებ ვრცლად გაშუქდეს 1948—49 სასწავლო წლის განმავლობაში სწავლა-აღზრდის საქმეში მოპოვებული წარმატებანი და არსებული ნაკლოვანებანი. ღრმად და ყოველმხრივ იქნეს განხილული მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილებანი მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში; კონკრეტულად იქნეს ნაჩვენები ის გზები, რომელთა გამოყენებით წლის განმავლობაში სკოლები აღწევდნენ წარმატებას. მოხსენების დასკვნით ნაწილში მასწავლებლობას მიეცეს კონკრეტული მითითებანი ახალი სასწავლო წლიდან სწავლა-აღზრდის საქმის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით.

პირველ მოხსენებისათვის მასალად გამოყენებული იქნეს 1948—49 სასწავლო წლის განმავლობაში რაიონის, ქალაქის, განათლების

განყოფილებათა გამოკვლევის მასალები, წლიური გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948—49 წლების ბრძანებანი და განკარგულებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

მოხსენებაში მეორე საკითხზე, საკავშირო ალკკ XI ყრილობის დადგენილებათა თვალთახედვით ზუსტი ანალიზი გაუკეთდეს რაიონის, ქალაქის, სკოლებში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. მოხსენება დაემყაროს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვას წარმოთქმულს საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ტ. ე. ერშოვის მოხსენებას „სკოლებში კომკავშირის მუშაობის შესახებ“ და საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივნის ამხ. ი. ზოდელავას მოხსენებას საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე.

## § 3

პლენარული სხდომების დამთავრების შემდეგ ჩატარდეს ცალკე საგნების მასწავლებელთა სექციების სხდომები, მათ სხდომებზე განხილული იქნეს შემდეგი საკითხები:

1. სასწავლო პროგრამები; 2. მოცემული საგნის სწავლების შედეგები და ამოცანები 1949—50 სასწავლო წლისათვის.

ამის გარდა:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში განხილული იქნეს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ“;

ბ) ფიზიკის სექციაში განხილული იქნეს—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1948 წლის 2 ნოემბრის ბრძანება „ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლასა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში“, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებანი რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების შესახებ (იხ. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 4, 1947 წ.) და „მითითებანი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის მუშაობის შესახებ“ (იხ. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 5—6, 1948 წ.);

გ) ქიმიის სექციაში განხილული იქნეს—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება რვაწლიან და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტის მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორული მუშაობის ჩატარების შესახებ (იხ. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 4, 1947 წელი), და „მითითებანი საშუალო სკოლის ლაბორანტის მუშაობის შესახებ ქიმიაში“ (იხ. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 5—6, 1948 წელი);

დ) ისტორიის სექციაში მოსმენილი იქნეს მოწინავე მასწავლებლის მოხსენება თემაზე „იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ისტორიის გაკვეთილებზე“.

ე) ბუნებისმეტყველების სექციაში დაწვრილებით იქნეს განხილული ბიოლოგიის პროგრამა და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბიოლოგიის სწავლების მიჩურინული ბიოლოგიის მოძღვრების საფუძველზე გარდაქმნის უზრუნველსაყოფად;

ვ) გეოგრაფიის სექციაში მოსმენილი იქნეს მოწინავე მასწავლებლების მოხსენება თემაზე—„საკლასო დაფისა და რუკის გამოყენება გეოგრაფიის სწავლებაში“;

ზ) უცხო ენების სექციაში მოსმენილი იქნეს მოწინავე მასწავლებლის მოხსენება თემაზე—„შესავალი გაკვეთილები უცხო ენაში“.

§ 4

განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამთავითვე გაატარონ საჭირო ღონისძიებანი თათბირის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, თათბირზე უზრუნველჰყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, გამოავლინონ, როგორც განათლების განყოფილების, ისე ცალკეული სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

§ 5

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ ოპერატული დახმარება გაუწიოს რაიონებსა და ქალაქებს თათბირების ჩატარების საქმეში.

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრი ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2456

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 2 აგვისტო

### ქ. თბილისის ზოგიერთი საბავშვო ბაღის მუშაობის შესახებ

გავეცანი რა ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის № 3, სტალინის სახელობის რაიონის № 45, 90, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის № 47, ბერიას სახელობის რაიონის № 89, კიროვის სახელობის რაიონის № 98 და 26 კომისრების სახელობის რაიონის № 22, 70 საბავშვო ბაღების მუშაობის შესწავლის შედეგებს, ა ღ ვ ნ ი შ ნ ა ვ:

ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის № 3, სტალინის სახელობის რაიონის № 45, 90, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის № 47, ბერიას სახელობის რაიონის № 98, კიროვის სახელობის რაიონის № 89 და 26 კომისრების სახელობის რაიონის № 22 საბავშვო ბაღები მოთავსებულნი არიან შესაფერის ბინებში, 1948 წელს № 47 და 98 საბავშვო ბაღებში ჩატარებულია კაპიტალური რემონტი, № 3 და 22 საბავშვო ბაღებში ბავშვებისათვის მოწყობილია ძილი. № 22 საბავშვო ბაღი მდიდარია დიდაქტიკური მასალებით და სათამაშოებით. ზემოდ აღნიშნულ ბაღებში დაცულია სისუფთავე, შექმნილია მყუდრო გარემო. ბაღები დაკომპლექტებულია გამოცდილი პედაგოგებით. ბავშვებთან მიმდინარეობს გეგმიანი თანმიმდევრული და სისტემატური მუშაობა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ქ. თბილისის მოლოტოვის სახ. რაიონის № 3, სტალინის სახ. რაიონის № 90, 45, ორჯონიკიძის სახ. რაიონის № 47, ბერიას სახ. რაიონის № 98, კიროვის სახ. რაიონის № 89 და 26 კომისრების სახ. რაიონის № 22 და 70 საბავშვო ბაღების მუშაობას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანებანი:

1. საბავშვო ბაღებს გეგმით მიცემული ბავშვთა კონტინგენტი აუთვისებელი აქვთ. მაგალითად, № 3 საბავშვო ბაღში გეგმით მოცემული 75 ბავშვის მაგიერ ესწრება 62 ბავშვი. № 45 საბავშვო ბაღში ბავშვების ცუდი დასწრების გამო 1949 წლის იანვარში შემცირდა ერთი ჯგუფით.

2. № 47 და 90 საბავშვო ბაღების შენობებში შესახლებულნი არიან კერძო მობინადრეები.

3. № 70 საბავშვო ბაღს ბნელი და შეუფერებელი ბინა აქვს, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს და რეკონსტრუქციას. ეზო საერთო აქვს სკოლასთან და კერძო მაცხოვრებლებთან, № 22 საბავშვო ბაღს ეზო შემოუკავებელი აქვს.

4. მიუხედავად № 47 საბავშვო ბაღში გასულ წელს კარგად ჩატარებულ კაპიტალურ რემონტისა, საბავშვო ბაღის წყალსადენი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. № 47 საბავშვო ბაღის მიწის ნაკვეთის დიდი ფართობი, ნიადაგის დაუმუშავებლობის გამო (მტვრიანი, ქვიანი) არ არის გამოყენებული მიზანშეწონილად—არ არის მოწყობილი ბოსტანი, ბავშვების საბანაო აუზი უმოქმედოდ არის.

5. №№ 90, 47, 98, 89 და 70 საბავშვო ბაღებში საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო არ არის მოწყობილი დღის ძილი.

№ 70 საბავშვო ბაღს საკმარისი რაოდენობით არა აქვს სკამები, მაგიდები და სხვა ინვენტარი. ბევრი მათგანი მოითხოვს შეკეთებას, შეცვლას, ბაღს არ აქვს საკმარისად თეთრეული.

6. №№ 90, 47, 98, 89, 70, 45 საბავშვო ბაღებს სათამაშოები და ხელსაწყოები ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ. დიდაქტიკური მასალა ბაღებში ძირითადად თვითნაკეთია.

7. კვება საბავშვო ბაღებში ერთფეროვანია. ყველა ბაღს სისტემატურად არ ეძლევათ კვერცხი, არაჟანი, ხილი, ბოსტნეული. ხორცი ეძლევათ ცუდი ხარისხის და ისიც არა სისტემატურად.

8. აღმზრდელები კალენდარულ სამუშაო გეგმაში ყოველდღიურად არ ჰგეგმავენ და არ აღრიცხავენ გასეირნებას, არჩევით თამაშსა და მეცადინეობას. თითქმის არ ახდენდნენ შემოქმედებითი თამაშის აღრიცხვას, ხშირად აღმზრდელების ყოველდღიურ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას აკლია კონკრეტულობა, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას აღრიცხვის შესახებ. მუშაობის აღრიცხვაში ზოგადად არის ნათქვამი ჯგუფმა „შეითვისა". არ ხდება აღნიშვნა ბავშვების კონკრეტული გამომჟღავნებისა, არ სწარმოებს ბავშვის ქცევის სათანადო შეფასება. მუშაობის აღრიცხვაში ნაკლებად ჩანს მეორე წყების აღმზრდელთა მუშაობის შედეგები და მათი პედაგოგიური მუშაობის თავისებურებანი.

9. №№ 90, 45, 47, 98 საბავშვო ბაღებში ჯგუფების წლიური მუშაობის საღრიცხვო გამოფენაში უფრო მეტად არის გაშუქებული ბავშვების სახვითი მოქმედიანობა, პედაგოგიური მუშაობის დანარჩენი განაყოფები, როგორც არის ბავშვების მეტყველების გან-

ვითარებაზე მუშაობა, თვლა-ანგარიში, ბუნებაში მუშაობა ნაკლებად არის მოცემული.

10. № 70 საბავშვო ბაღში გამოფენილი ორივე ჯგუფის ბავშვების წლიური მუშაობის მასალები ღარიბია, წლის მანძილზე ბავშვებს სამუშაო მასალები საკმარისი რაოდენობით არ ეძლეოდათ.

11. № 98 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ამხ. ჩიპინოვა, № 89 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ამხ. რ. ბერიძე და № 70 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ვ. ვოლოსუხინა დაუფლებულნი არ არიან სკოლამდელ პედაგოგიკის საკითხებს რის შედეგადაც; მათი ჯგუფის ბავშვები საპროგრამო მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ.

აქედან გამომდინარე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დაევალოს სტალინის სახ. რაიონის № 45 (გამგე ზარდიაშვილი) № 90 (გამგე ზ. ცანავა), ორჯონიკიძის სახ. რაიონის № 47 (გამგე თ. ერისთავი), კიროვის სახ. რაიონის № 89 (გამგე სანებლიძე), ბერიას სახ. რაიონის № 98 (გამგე მეგრელიძე), 26 კომისრების სახ. რაიონი № 22 (გამგე მ. ელიავა), № 70 (გამგე ვართანოვა) საბავშვო ბაღების გამგეებს:

ა) უზრუნველჰყონ საბავშვო ბაღებში დამტკიცებული კონტინგენტის ათვისება და ბავშვების სისტემატური დასწრება.

ბ) ბავშვებთან მაღალხარისხოვანი პედაგოგიური მუშაობის ჩასატარებლად უზრუნველჰყონ აღმზრდელები „სახელმძღვანელოში" ნაჩვენები დიდაქტიკური და სხვა სასწავლო მასალებით.

გ) ახალ სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყონ საბავშვო ბაღების შენობების დროული და ხარისხიანი რემონტი.

დ) გააძლიერონ აღმზრდელებთან პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობა: პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სკოლამდელი პედაგოგიკის და მეთოდიკის საკითხების დაყენებით, ჯგუფების მეცადინეობაზე სისტემატური დასწრებით და სხვა.

ე) ბავშვებში დაკვირვებულობის აღზრდისა და ბუნების გასაცნობად მოწყობილ და შევსებულ იქნეს ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში ბუნების კუთხეები.

სისტემატური დაკვირვება აწარმოონ, როგორც ბუნების კუთხეში და ბაღ-ბოსტანში არსებულ მცენარეებისა და ცოცხალი ობიექტების ზრდა-განვითარებაზე, აგრეთვე წელიწადის დროის სეზონურ მოვლენებზე, ბუნების კალენდარის სისტემატური წარმოებით.

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არჩევითი თამაშისა და სავალდებულო მეცადინეობის ღრმად შესწავლას და მათი ჩატარების მეთოდიკის დაუფლებას.

2. დაევალოს № 47 საბავშვო ბაღის გამგეს ამხ. თ. ერისთავს:

ა) საბავშვო ბაღის ეზოში ბავშვების ფიზიკური გაკაჟებისათვის და წყლით თამაშისათვის მოწყობილი აუზი მოიყვანოს წესრიგში;

ბ) ბავშვებისათვის სადილისა და საუზმის მიცემა მოეწყოს ჯგუფის ოთახებში, სასადილოდ გამოყოფილი ოთახი კი გამოყენებულ იქნეს საძინებელ ოთახად.

3. დაევალოს № 22 საბავშვო ბაღის გამგეს ამხ. მ. ელიავას უახლოეს ხანში ეზოს შემოკავება და მისი კეთილმოწყობა: ბაღბოსტნის გაშენება და ფიზკულტურული მოედნის მოწყობა.

4. დაევალოს № 70 საბავშვო ბაღის გამგეს ამხ. ვართანოვას:

ა) შენობის კაპიტალური რემონტის ჩატარებისას გაითვალისწინოს რეკონსტრუქციის ჩატარება, სკოლისა და კერძო მაცხოვრებლების საერთო ეზოს ფართობიდან ეზოს პატარა ნაკვეთის გამოყოფა, მისი შემოკავება და ეზოში ბავშვების თამაშობისათვის პირობების შექმნა.

5. დაევალოს №№ 90, 89, 98, 70 საბავშვო ბაღების გამგეებს შეიძინონ ძილისათვის საჭირო ინვენტარი და მოაწყონ ბავშვებისათვის სისტემატური დღის ძილი, პირველ რიგში კი უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.

6. დაევალოს № 98 საბავშვო ბაღის აღმზრდელს მ. ჩოპინოვას, № 89 საბავშვო ბაღის აღმზრდელს რ. ბერიძეს და 70 საბავშვო ბაღის აღმზრდელს ამხ. ვ. ვოლსუხინას სისტემატურად იმუშაონ თავიანთ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დაეუფლონ სკოლამდელ პედაგოგიკის საკითხებს და გააუმჯობესონ ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის ხარისხი.

7. აღინიშნოს № 89 (გამგე ნ. სანებლიძე), № 3 (გამგე ნ. მოისწრაფიშვილი), № 22 (გამგე მ. ელიავა) საბავშვო ბაღების აღმზრდელების ამხ. ო. წითლანაძის, თ. დარჩიას, გალუსტოვის, ი. იმედაშვილის, ი. ხახუტაშვილის, ყაზახაშვილის, ქ. მჭედლიშვილის, ტატიშვილის კარგი მუშაობა, რის შედეგადაც მათი ბავშვები ორგანიზებულნი და ზრდილობიანი არიან, კარგად ერკვევიან გარემოში, მათ ახასიათებს შრომისმოყვარეობა, განვითარებული აქვთ შემოქმედებითი უნარი და სრულიად მომზადებულნი არიან შემდეგი ჯგუფში გადასასვლელად.

8. დაევალოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის, მოლოტოვის, სტალინის, ბერიას, კიროვის და 26 კომისრების სახელობის რაიონულ განათლების განყოფილებების გამგეებსა და სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება №№ 47, 3, 90, 45, 89, 70 და 22 საბავშვო ბაღებზე ბინების განთავისუფ-

ლების საკითხის სათანადო ორგანოების წინაშე დასმით და მოგვარებით, საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის განმტკიცებით, საბავშვო ბაღების გამგეების და პედაგოგების კვალიფიკაციის და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების და სხვა.

9. დაევალოს ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. პ. ლოგუას და 26 კომისრების სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. გიორგაძეს ახალ სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყონ № 47 და 22 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა.

10. ამ ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროს ამხ. პ. რატიანს.

შედეგი მოგვახსენოს პერიოდულად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2501

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 4 აგვისტო.

### პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

გავეცანი რა პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-სანატორიუმები დროულად მოემზადნენ საგაზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადასვლისათვის: დაამთავრეს ბავშვთა საძინებელი ოთახების რემონტი, შეიძინეს ახალი მაგარი და რბილი ინვენტარი, შეაკეთეს საწოლები და სხვ.

სკოლა-სანატორიუმებში ჩატარებულია მიღებულ ბავშვთა სანიტარული დამუშავება და ჯანმრთელობის საკონტროლო შემოწმება. სამკურნალო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად ადგილი არ ჰქონია ინფექციური დაავადების შემთხვევას. დაწესებული იყო სამედიცინო კონტროლი კვებაზე: ექიმი ან ექიმის თანაშემწე სისტემატურად მორიგეობდნენ სასადილოში. ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში ერთი ექთანი მხოლოდ ბავშვთა კვებაზე არის გაპიროვნებული; ადგილი აქვს ბავშვთა მომატებას წონაში. საშუალოდ ბავშვებმა 1,6 კგ. მოიმატეს, ხოლო ცალკე შემთხვევაში ეს მატება 3—4 კგ. შეადგენდა. მაგალითად, პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში ნუგზარ წერეთელმა მოიმატა 4 კგ., დიმიტრი პაპავამ 4,6 კგ. და სხვ.

კარგად იყო გაშლილი სკოლა-სანატორიუმებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ბავშვთა შორის.

პიონერრაზმის ხელმძღვანელები და რაზმზე მიმაგრებული აღმზრდელ მასწავლებლები ყოველდღიურად ატარებდნენ ბავშვებთან საუბრებს, აწყობდნენ მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვას, მასობრივ თამაშობებს, მახლობელ ექსკურსიებს და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში უფროს პიონერ-

ხელმძღვანელის სტეცენკოს მიერ ჩატარებული კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

სკოლა-სანატორიუმებში ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა სახის წრეები, როგორიცაა: მომღერალთა, მოცეკვავეთა, ფრენბურთის, მოშაშე-მოჭადრაკეთა და სხვ. ტარდებოდა თვითშემოქმედებითი საღამოები, კონცერტები და სხვ.

მიუხედავად ამისა პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ორთავე სკოლა-სანატორიუმში დარღვეულია დღის რეჟიმი კვების დარგში. ასე, მაგალითად, ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში სამჯერადი კვებაა ოთხჯერადის ნაცვლად, ბავშვებს არ ეძლევათ სამხარი, ხოლო პატარა ცემში სასკოლო სეზონის დღის რეჟიმის მიხედვით სამხარის მაგიერ მეორე საუზმე ეძლევათ, რის გამო ზოგიერთი მასობრივ-კულტურული და აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომელთა ჩატარება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დღის რეჟიმით დილის საათებში იყო გათვალისწინებული, ამოღებულია, ამასთან დიდია შუალედი სადილსა და ვახშამს შორის;

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში სასადილოს არ ჰქონდა საკმაო რაოდენობით ჭურჭელი, რაც იწვევდა საუზმის, სადილისა და ვახშმის გაცემის გაჭიანურებას; ასე, მაგ. 15/VII-ს 10 საათზე და 40 წ. ბავშვებს საუზმე არ ჰქონდათ დამთავრებული, იმის მიუხედავად, რომ სასადილოს ერთდროულად 130—150 ბავშვის გატარება შეეძლო. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში სასადილო არ არის კეთილმოწყობილი: მაგიდებზე ძველი და ნახევრად ჭუჭყიანი სუფრები იყო გადაფარებული;

როგორც პატარა ცემის, ისე ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში დაბრკოლებაა სათანადო ორგანიზაციების მიერ პროდუქტების მიწოდების საქმეში, ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში ბავშვთა შემადგენლობას (განათლების სამინისტროსა და საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა) პროდუქტებით ორი სხვადასხვა ორგანიზაცია ამარაგებს „აჭარვაჭრობა“ და „კურორტვაჭრობა“. მაგრამ აღნიშნული ორგანიზაციები დროულად და საჭირო რაოდენობით ვერ აწოდებდნენ პროდუქტებს.

პროდუქტების თავის დროზე მიუღებლობის გამო ხშირად ირღვევა დაწესებული მენიუ, დაბალი იყო კერძების ხარისხი და საშუალო დღიური კალორაჟი 2700 აღწევდა, დაწესებული 3500 ნაცვლად. კალორიულობის სიმცირის მიზეზი იყო ისიც, რომ ნორ-

მით დაწესებული ზოგიერთი ტკბილეული ბავშვებს საჭირო რაოდენობით არ ეძლეოდა. ასე მაგალითად, პირველ ნაკადში 17/V ბავშვებს მიღებული ჰქონდათ: ნამცხვარი ორჯერ, შოკოლადი ერთჯერ, კონფეტი სამჯერ, ხილი ერთჯერ და სხვ. პროდუქტებიდან განსაკუთრებით საგრძნობია ბოსტნეულისა და კარტოფილის ნაკლებობა;

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის პროდუქტების საწყობში არ იყო საჭირო სისუფთავე და სიმშრალე. მაგალითად, შაქარი ტომრით ედგათ ნესტიან იატაკზე და ნახევრად დასველებული იყო, პროდუქტების აღრიცხვის საქმე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში, საწყობის აღწერისა და ბუხჰალტერული ჩანაწერების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ 9 ივლისისათვის საწყობს აკლდა: ერბო—11,815 კგ. კარაქი—2,085 კგ. შაქარი—1,165 კგ. რძე შედედებული—2,920 კგ. ბრინჯი—1,855 კგ. ადგილი აქვს განათლების სამინისტროს ნებართვისა და საგზურების გარეშე ბავშვთა აყვანას კვებაზე. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში 132 ბავშვის ნაცვლად, რომლებზედაც გაცემული იყო საგზური, სანატორიულ კვებაზე აყვანილი იყო 176. ამათგან 44 უსაგზუროდ, სიით ღებულობს კვებას მათ შორის 9 სკოლა-სანატორიუმის თანამშრომელი. განათლების სამინისტროს მიერ თანამშრომელთა შვილებისათვის მიცემული 21 საგზურიდან მხოლოდ სამი საგზურია გამოყენებული დანიშნულებისამებრ, ხოლო დანარჩენი დირექტორის მიერ სხვადასხვა პირებზე არის განაწილებული;

ორივე სკოლა-სანატორიუმში საწოლი ოთახები გადატვირთულია და საძინებელ ოთახებში სივიწროვეა. პატარა ცემში საშუალოდ ერთ ბავშვზე მოდის 2 კვ. მ. ფართობი, ქობულეთში კი 3 კვ. მ. ფართობი, დაწესებული 5—7 კვადრატული მეტრის ნაცვლად. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის ოთახებში საგზურებიან ბავშვებს გარდა უსაგზუროდ თანამშრომელთა 8 ბავშვია მოთავსებული. ამავე სკოლა-სანატორიუმში 50 საწოლი უვარგისია, შეუკეთებელი და ბადე ჩავარდნილი.

როგორც პატარა ცემის, ისე ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში საწოლ ოთახებში არ არის საერთო და ინდივიდუალური კარადები ბავშვების ტანისამოსისა და სხვა პირადი მოხმარების ნივთების შესანახად.

მოუვლელია და შეულობავი ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის ეზო, ყურადღება არ ექცევა გამწვანებას და არსებული ნარგავების დაცვას.

მასობრივი მუშაობისა და ბავშვთა კულტურული დასვენებისა და გონივრული გართობის ორგანიზაციისათვის არცერთ სკოლა-სანატორიუმს არ აქვს კლუბი.

პატარა ცემში საჯარო ღონისძიებათა გატარებისათვის სასადილოს დარბაზს იყენებენ, ქობულეთში კი ბიბლიოთეკას.

არც ერთ სკოლა-სანატორიუმს არ ჰყავს მუსიკის ხელმძღვანელი. ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში ამ თანამდებობაზე აყვანილი პირი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, ვერ უზრუნველჰყოფდა მასობრივ ღონისძიებათა გატარებას და იგი განთავისუფლებულ იქნა;

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში ბავშვთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების ორგანიზაცია ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. პირველ ნაკადში ბავშვებისათვის არ უჩვენებიათ არც ერთი მხატვრული ან მეცნიერული ხასიათის კინოფილმი, არ ჩაუტარებიათ საჯარო მოხსენებები მიმდინარე პოლიტიკასა და სხვა საკით.ხებზე.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში აღმზრდელ მასწავლებელ ჯაყელის მხრივ ადგილი ჰქონდა უხეშ, მასწავლებლისათვის შეუფერებელ საქციელს—(ბავშვის ცემა).

ორთავე სკოლა-სანატორიუმში ადგილი აქვს საშტატო თანამდებობათა შეთავსებას. ასე, მაგალითად, აღმზრდელები იმავდროულად მასწავლებლებადაც მუშაობენ, ან კიდევ მასწავლებლები აღმზრდელებად.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაევალოს პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმების დირექტორებს ამხ. ამხ. ვ. გოცირიძესა და პ. სალუქვაძეს:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საზაფხულო მუშაობისათვის დამტკიცებული დღის რეჟიმით და არ დაუშვან მისი დარღვევა;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ პროდუქტების დროულად და შეუფერხებლად მიღებისათვის და ყურადღება მიაქციონ კვების მრავალფეროვნებასა და ხარისხს, კალორიულობას;

გ) უზრუნველჰყონ სასადილო საჭირო რაოდენობის ჭურჭლეულით და არ დაუშვან საუზმისა და სადილის გაცემის გაჭიანურება.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორმა გოცირიძემ შესცვალოს სასადილოში ძველი სუფრები და მეტი ყურადღება მიაქციოს სასადილოს კეთილმოწყობასა და სისუფთავეს;

დ) არ დაუშვან განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული რაოდენობის ზევით და უსაგზუროდ ბავშვების აყვანა კვებაზე;

სრულიად არანორმალურად ჩაითვალოს თანამშრომელთა აყვანა კვებაზე ბავშვების საგზურით; წინადადება მიეცეს გოცირიძეს სავსებით აღკვეთოს მომავალში მსგავსი პრაქტიკა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) უზრუნველჰყონ ბავშვთა საწოლი ოთახები საერთო და ინდივიდუალური კარადებით ბავშვების ტანისამოსისა და პირადი მოხმარების ნივთების შესანახად;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებში აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს;

ზ) მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების სწორად ორგანიზების საქმეს; მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში ზაფხულის პერიოდში პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ განათლების სამინისტროს მიერ 1948 წლის 7 ივნისის დამტკიცებული მითითებითა და თემატიკით: ხშირად უჩვენონ ბავშვებს მხატვრული და მეცნიერული კინოფილმები, ჩაატარონ საჯარო მოხსენებები და საუბრები მიმდინარე პოლიტიკისა და სხვადასხვა მეცნიერულ საკითხებზე, მოაწყონ ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედებითი დილა-საღამოები, გასეირნებები და მახლობელი ექსკურსიები;

თ) შეარჩიონ და დროულად დანიშნონ მუსიკის ხელმძღვანელი;

ი) მეტი ყურადღება მიაქციონ სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მტკიცედ დაცვას საძინებელ ოთახებსა, სამზარეულოსა და სასადილოში.

2. დაევალოს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს ამხ. პ. სალუქვაძეს:

ა) დაუყოვნებლივ დაიწყოს ეზოს შემორაგვის სამუშაოები და ყურადღება მიაქციოს ამ საქმეზე განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ თანხების რაციონალურად ხარჯვას;

ბ) გაათავისუფლოს სამნეო ნაწილის გამგე ცეცხლაძე, რომელიც თავს ვერართმევს დაკისრებულ მოვალეობას და შენიშნულია დანაშაულებრივ მოქმედებაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ სკოლა-სანატორიუმს „გლავლესოსბიტის“ მახარაძის ხე-ტყის საწყობიდან მიღებულ 91 კუბური მეტრი შეშის ნაცვლად 73 კუბური მეტრი ჩააბარა.

გ) ყურადღება მიაქციოს პროდუქტების საწყობის სისუფთავესა და სიმშრალეს, მიიღოს ზომები შენიშნული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

3. დაევალოს პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს ვ. გოცირიძეს პროდუქტების საწყობში აღრიცხვის საქმის მოუწესრიგებლობისა და პროდუქტების დანაკლისისათვის მოხსნას სამუშაოდან საწყობის გამგე—ალექსანდრე ბელაგუროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „აჭარვაჭრობისა“ და „კურორტვაჭრობის“ ქობულეთისა და ბორჯომის რაიონული განყოფილებების მიერ ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებათა შესახებ ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს საკურორტო ვაჭრობის სამმართველოს უფროსს.

5. ეთხოვოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) შეისწავლოს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში და მისცეს სამედიცინო პერსონალს სათანადო მითითებები;

ბ) გამოუყოს ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმების საექიმო პუნქტებს მოძრავი სადეზინფექციო კამერები და სამედიცინო სასწორები;

6. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას გაითვალისწინონ 1950 წლის ბიუჯეტში პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებთან კლუბების მშენებლობა.

7. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად განიხილოს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის ეზოს შემოღობვის ხარჯთაღრიცხვა და წარმოადგინოს წინადადება ამ მიზნისათვის საჭირო თანხების გამოყოფის შესახებ.

8. პედაგოგისათვის შეუფერებელ საქციელისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან აღმზრდელ-მასწავლებელი ს. ჯაყელი.

9. დაუშვებლად ჩაითვალოს აღმზრდელისა და მასწავლებლის საშტატო თანამდებობათა შეთავსება; დაევალოს კადრების განყოფილებას გადასინჯოს ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმების აღმზრდელ და მასწავლებელთა პირადი შემადგენლობა და შემთავსებლები გაათავისუფლოს ერთ-ერთი თანამდებობიდან.

10. დაევალოს პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს ამხ. გოცირიძეს გაათავისუფლოს აღმზრდელის თანამდებობიდან კობახიძე, როგორც დაბალი განათლების მქონე.

11. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს:

ა) არ დაუშვას პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმებში დაწესებულ რაოდენობაზე მეტი ბავშვების გაგზავნა;

ბ) მეორე ნაკადის დასასრულს შეამოწმოს საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმებში და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1949 წლის 3 აგვისტოს დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრი ვ. ქუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2504

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 6 აგვისტო

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზიკური აღზრდის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

განათლების სამინისტროს სისტემის ორი ათასამდე რვაწლიან და საშუალო სკოლაში უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მხოლოდ 250 ფიზკულტურის მასწავლებელი მუშაობს, 391 კაცს აქვს მიღებული საშუალო ან საკურსო ფიზკულტურული განათლება, დანარჩენი მასწავლებლები (დაახლოებით 1350 კაცი) მოკლებულია რაიმე სისტემატურ და სპეციალურ განათლებას, რის შედეგადაც მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.—იმ მიზნით, რომ უახლოეს 3—4 წლის მანძილზე მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნეს სკოლების მოთხოვნილება ფიზკულტურის სპეციალისტ მასწავლებლებზე—**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1949—50 სასწავლო წლიდან:**

1. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. ქ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან დაარსდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი.

2. დამტკიცდეს მიმდინარე წელს ამ ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი 25 კაცის რაოდენობით—საერთო კონტინგენტის განაწილების ხარჯზე.

3. ა. წულუკიძის სახ. ქ. ქუთაისის, შ. რუსთაველის სახ. ქ. ბათუმის და ნ. ბარათაშვილის სახ. ქ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტებზე მისაღები კონტინგენტი გადიდებულ იქნეს ორჯერ, იმ ანგარიშით, რომ თითოეულ დასახელებულ ინსტიტუტში მიღებული იქნეს 50 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების და სპორტის ცალკეულ სახეებში კვალიფიციური მწვრთნელების მომზადების მიზნით:

ა) რეორგანიზებულ იქნეს ქ. ხაშურის პედაგოგიური სასწავლებელი—ფიზიკური აღზრდის პედაგოგიურ სასწავლებლად;

ბ) ქ. ქუთაისის პედაგოგიურ სასწავლებელთან გაიხსნას ფიზიკური აღზრდის განყოფილება;

გ) მომზადებულ იქნეს საკითხი 1950—51 სასწავლო წელს ქ. სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებელთან ფიზიკური აღზრდის განყოფილების დაარსების შესახებ.

5 უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაშლისა და გაუმჯობესების მიზნით, ყველა პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებთან სტუდენტ-სპორტსმენთათვის, რომელთაც სურვილი აქვთ მეორე სპეციალობის (ფიზკულტურის მასწავლებლობის მიღებისა) მოეწყოს ფაკულტატური კურსები.

6. დაწყებითი სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების უკეთ მომზადების მიზნით:

ა) ყველა პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო გეგმებში შეტანილი იქნეს ფაკულტატური მეცადინეობების ჩატარება ფიზკულტურაში 60 საათის რაოდენობით თითოეულ სასწავლო ჯგუფში;

ბ) გადიდდეს მესამე და მეოთხე კურსებზე ფიზკულტურული პედპრაქტიკის საათები და შემოღებულ იქნეს მესამე და მეოთხე კურსებზე ფიზკულტურის საცდელი გაკვეთილები (35 საათის რაოდენობით) აქედან 17 საათი მესამე კურსზე და 18 საათი მეოთხე კურსზე;

გ) დაისვას საკითხი სსრკ უმაღლესი სკოლების სამინისტროს წინაშე, რათა ახალ სასწავლო წლიდან ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა სათანადო პრაქტიკული ვარჯიშებით) შეტანილ იქნეს მესამე და მეოთხე კურსის საგამოცდო საგნად;

დ) საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ (ამხ. ვ. ბიწაძემ) ქ. ხაშურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური სასწავლებლის და ქ. ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლების მატერიალური ბაზის, რემონტის, კაბინეტების მოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენის მიზნით 1949 წ. ბიუჯეტით დამატებით გაიღოს 50.000 მან. ერთდროულად.

7. უმაღლესი სკოლების განყოფილებამ (ამხ. მ. ჩხეტია) და ფიზიკური მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი):

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველჰყონ პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტები და პედაგოგიური სასწავლებლები სასწავლო გეგმებით და პროგრამებით—ქართულ ენაზე;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან ერთად შეარჩიონ ფიზკულტურის საუკეთესო სპეციალისტი მასწავლებლები და პირველ რიგში გაგზავნონ ისინი პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და პედსასწავლებლებში სამუშაოდ;

გ) მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რათა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტები და პედაგოგიური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის განყოფილებები დაკომპლექტებული იქნენ საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენთა რიცხვიდან;

8. ფიზიკური აღზრდის ინსპექციამ (ამხ. გ. მერკვილაძე) პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში და აგრეთვე პედაგოგიურ სასწავლებლებში კლასგარეშე და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახოს ღონისძიებები, შეადგინოს სპორტმასიური მუშაობის კალენდარი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს კოლეგიას არა უგვიანეს ა/წ. 25 აგვისტოსა.

9. ფიზიკური მომზადების განყოფილებამ (ამხ. ორახელაშვილი) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა მომახსენოს მე ა/წ 25 აგვისტოსათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი მ. ძუძუნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2576

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 11 აგვისტო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი, 1949—50 სასწავლო წლისათვის მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 16 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გავეცანი რა, ქ. ფოთის, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გურჯაანის, კასპის, გორის, მახარაძის, წყალტუბოს, კაჭრეთის, ბორჯომის, ქარელის, ხაშურის, აბაშის, ცაგერის, ამბროლაურის, ასპინძისა და სხვა რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებს და ადგილებიდან წარმოდგენილ მასალებს, აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივ პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეს. თელავის, აბაშისა და ხულოს რაიონების კოლმეურნეთა პატრიოტულმა მოწოდებამ სკოლებისადმი დახმარების გაწევის შესახებ რესპუბლიკის კოლმეურნეებსა, სამეურნეო ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებს შორის ფართო გამოხმაურება გამოიწვია. სკოლის დახმარების დღეების გამოცხადებითა და მასობრივი მუშაობის გაშლის საფუძველზე სამზადისის საქმეში ჩაებნენ მშრომელთა ფართო მასები, მაქსიმალურად გამოიყენეს ადგილობრივი საშუალებები (ხეტყე, კირი, აგური, კრამიტი, გამწევი ძალა, მუშა ხელი) და უსასყიდლო შრომითი მონაწილეობით 10 აგვისტოსათვის მრავალი სასკოლო შენობა და სასკოლო დგამ-ავეჯი მოიყვანეს სრულ წესრიგში. ასე, მაგალითად: ბორჯომის რაიონში გეგმით 4 სასკოლო შენობას უნდა გაუკეთდეს კაპიტალური რემონტი, ხოლო 45 მიმდინარე რემონტი. 10 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი გაუ-

კეთდა 3 სკოლას, ხოლო მიმდინარე რემონტი 35 სკოლას. კოლმეურნეებმა თავიანთი სახსრებით კაპიტალური რემონტი გაუკეთეს ტაძრისის საშუალო სკოლას, წესრიგში მოიყვანეს მერხები, დაფები, მაგიდები, მოზიდეს შეშა საჭირო რაოდენობით, შემოღობეს სასკოლო ეზო და სხვა. ასევე მოამზადეს კოლმეურნეებმა ახალი სასწავლო წლისათვის დვირის, ჭობისხევის, ციხისჯვრის, ტაბაწყურის, ახალდაბის და გუჯარეთის სკოლები.

სკოლისადმი დახმარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის მსხვილმა საწარმო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გეგმით კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 20 სასკოლო შენობას, მიმდინარე რემონტი 418 სასკოლო შენობას. 10 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 49 სასკოლო შენობას. მიმდინარე რემონტი 316 სასკოლო შენობას. უმრავლეს სკოლებში რემონტი ჩატარდა კოლმეურნეების აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით. კოლმეურნეებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით 1 აგვისტოსათვის სრულ წესრიგში იქნა მოყვანილი გალის რაიონის II ოტობაის, აჩიგვარის, ოქუმის, თაგილონის სკოლის შენობები, ქ. სოხუმის, სოხუმის რაიონის სკოლების დიდი უმრავლესობა. ასევე მუშაობა მიმდინარეობს გაგრის, ოჩამჩირისა და სხვა რაიონების სკოლებში. აფხაზეთის უმრავლეს სკოლებში შეშა მიზიდულია.

კასპის რაიონში გეგმით კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 5 სასკოლო შენობას, ხოლო მიმდინარე რემონტი—70 სკოლას. 1 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი დამთავრდა 4 სკოლაში, მიმდინარე რემონტი კი დამთავრდა ყველა სკოლაში. რემონტი მაღალხარისხოვნად არის ჩატარებული. სრულ წესრიგშია მოყვანილი სასკოლო დგამ-ავეჯი. სამუშაოების დიდი ნაწილი კოლმეურნეებისა და ცემენტის ქარხნის დირექციის მიერ არის შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული 2.800 კუბური მეტრი შეშიდან 10 აგვისტოსათვის სკოლებში მოზიდულია 2.100 კუბ. მეტრი შეშა.

აჭარის ასსრ რაიონებში კოლმეურნეების ინიციატივით, წარმოება-დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით ახალი სასწავლო წლისათვის შენდება 15 ახალი შენობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ხულოს რაიონის კოლმეურნეებმა „სკოლის დახმარების დღე“ გამოაცხადეს და ამ დღეს 2.300-ზე მეტი კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურე ჩაება სკოლის სამუშაოებში. ასეთივე მუშაობა გაიშალა და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ბათუმის, ქობულეთისა და სხვა რაიონებიც. ქ. ბათუმის სკოლებზე

შეფობა აიღეს ქალაქის წარმოებებმა და სკოლები უზრუნველჰყვეს რემონტისათვის საჭირო მასალით.

10 აგვისტოსათვის რემონტი დამთავრებული იყო ქ. ფოთის ყველა სკოლაში. სკოლებს თვალსაჩინო დახმარება გაუწიეს ნავთსადგურმა და კოლხიდმშენმა.

კარგად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება გურჯაანის, მახარაძის, ლენინგორის, ზესტაფონის, ხაშურის, წყალტუბოს, აბაშის, ქუთაისისა და სხვა რაიონებში.

ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 16 მაისის № 536 დადგენილებას ბევრ რაიონში არ ასრულებენ.

მთელ რიგ რაიონებში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო შენობების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება.

მთელ რესპუბლიკაში გეგმით კაპიტალური რემონტი უნდა ჩატარდეს 364 სკოლაში, ხოლო მიმდინარე რემონტი 3.913 სკოლაში. 10 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი ჩატარებულია 192 სკოლაში (52,7%), ხოლო მიმდინარე რემონტი 1.197 სკოლაში (30,6%).

ამბროლაურის რაიონში გეგმით კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 6 სასკოლო შენობას, მიმდინარე რემონტი 57 შენობას. 10 აგვისტოსათვის მხოლოდ მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 15 სკოლას. თეთრიწყაროს რაიონში კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 5 სკოლა, მიმდინარე რემონტი უნდა გაუკეთდეს 82 სკოლას. 10 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 1, ხოლო მიმდინარე რემონტი 2 სკოლის შენობას. მცხეთის რაიონში კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 3 სკოლას, მიმდინარე 51 სკოლას, მხოლოდ მიმდინარე რემონტი დღემდე გაუკეთდა 17 სკოლას. საგარეჯოს რაიონში კაპიტალური და მიმდინარე რემონტი უნდა გაუკეთდეს 39 სასკოლო შენობას, დღემდე მხოლოდ მიმდინარე რემონტი ჩატარებულია 4 სკოლაში. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ძალზე ჩამორჩება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ჯავის, ზნაურის და სტალინირის რაიონების ზოგ სკოლაში 1 აგვისტოსათვის რემონტი დაწყებული არ იყო. ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და განათლების განყოფილებებს არ გააჩნიათ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ოპერატიული გეგმა. არ ანხორციელებენ კონტროლსა და ხელმძღვანელობას სკოლების შენობებისა და ინვენტარის შეკეთებაზე, რის გამო სკოლებში

დღემდე ჩატარებული რემონტი ძალზე დაბალია. აღნიშნულ რაიონებში არ ექცევა ყურადღება სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვის საქმეს. ამ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების სათბობით მომარაგების საქმე.

გორის რაიონში გეგმით კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 13 სასკოლო შენობას. მიმდინარე რემონტი 130 სკოლას. 1 აგვისტოსათვის კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 7 სკოლას, ხოლო მიმდინარე რემონტი 18 სკოლას, დანარჩენ სკოლების შეკეთება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. რიგ სკოლებში ჩატარებული რემონტი დაბალი ხარისხისაა. ზემო-ხვითის, უფლისციხის სუავრისა და სხვა სოფლის კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებებს სათონადოთ ვერ ასრულებენ. მთელ რიგ სკოლებში 1 აგვისტოსათვის შეშა მიზიდული არ იყო.

კაჭრეთის რაიონის სოფ. არაშენდის, ჯიმითისა და მთელ რიგ სხვა სკოლებში რემონტი არ დაწყებულა. ამ სკოლებში მოუვლელია სასკოლო კარმიდამო, მერხები და დაფები, სასწავლო კაბინეტები, ხელსაწყო იარაღები. ასეთ ჩამორჩენას აქვს ადგილი სასკოლო შენობების რემონტის დარგში ასპინძის, ახმეტის, დუშეთის, ყაზბეგის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ახალქალაქის, ადიგენის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ბოლნისის, ქვემო სვანეთის, ცაგერის, ჭიათურის, ხობისა და სხვა რაიონებში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო დგამ-ავეჯის—მერხების, დაფების, მაგიდებისა და სხვა ინვენტარის დამზადება. გეგმით დასამზადებელ 12.000 მერხიდან 10 აგვისტოსათვის დამზადებულია 5.865 მერხი (48,9%). განათლების სამინისტროს დიდაქტიკურ წარმოებამ 1.500 მერხის ნაცვლად დაამზადა 700 მერხი (46,7%); ადგილობრივ მრეწველობის სამინისტრომ 5.500 მერხის ნაცვლად დაამზადა 2.898 მერხი (52,7%); სატყეო მრეწველობის სამინისტრომ 5.000 მერხის ნაცვლად დაამზადა 2.267 მერხი (43,3%), არც დაფების დამზადების მდგომარეობაა დამაკმაყოფილებელი; გეგმით გათვალისწინებული 2.000 დაფიდან დამზადებულია 1.250 დაფა (62,5%.

მთელ რიგ რაიონებში ცუდათ მიმდინარეობს სასკოლო დგამ-ავეჯის რემონტის საქმე. ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, დმანისის, ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის სკოლებში მერხების, დაფებისა და კარადების რემონტი არ დაწყებულა.

მთელ რიგ რაიონებში არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკოლების სათბობით მომარაგების შესახებ.

1 სექტემბრისათვის გეგმით უნდა დამზადდეს 110.270 კუბ. მეტრი შეშა. 10 აგვისტოსათვის დამზადებულია 62.003 კუბ. მეტრი შეშა (56,2%). ასპინძის რაიონს სკოლებისათვის უნდა დაემზადებინა 1 სექტემბრისათვის 1.200 კუბ. მეტ. შეშა. დაამზადა 300 კუბ. მეტრი. ახმეტის რაიონს უნდა დაემზადებია 1,800 კუბ. მეტრი შეშა, დაამზადა 100, დმანისის რაიონს უნდა დაემზადებია 3.592 კუბ. მეტრი სათბობი, დაამზადა 75, დუშეთის რაიონს უნდა დაემზადებია 3.200 კუბ. მეტრი შეშა, დაამზადა 15. მაიაკოვსკის რაიონს უნდა დაემზადებია 2.370, დაამზადა 15 და ა. შ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სტაბილური სახელმძღვანელო წიგნების შესყიდვა. გეგმით შესყიდული უნდა იქნეს 695.800 ცალი ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო, 10 აგვისტოსათვის შესყიდულია 356.578 ცალი (51,2%), აგრეთვე ნელი ტემპით მიმდინარეობს მოსწავლის რვეულების დამზადება. გეგმით უნდა დამზადდეს 27.500.000 ცალი რვეული, 1 აგვისტოსათვის დამზადებულია 11.412.100 ცალი რვეული, (41,5%).

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ნაცვლად 17.000.000 ცალი რვეულისა დაამზადა 6.146.100 ცალი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკამ ნაცვლად 10.000 ცალისა, დაამზადა 5.066.000 რვეული.

საქართველოს სსრ რაიონების საკმაო დიდი ნაწილი საკმაოდ არ ზრუნავს მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, გორში, კასპში, თიანეთსა, დუშეთსა და სხვა რაიონებში არ ზრუნავენ მასწავლებელთა ბინების ასაშენებლად.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ათი დღის განმავლობაში შეამოწმონ ცალკეულ სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში შენობებისა და სასკოლო ინვენტარის შეკეთება-დამზადების მდგომარეობა. შემოწმების შედეგების შესახებ საკითხი დასვან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და პარტიულ კომიტეტების ბიუროს სხდომებზე და მიიღონ გადამჭრელი ზომები გეგმით გათვალისწინებულ სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტის ხარისხოვნად და დროულად ჩატარების უზრუნველსაყოფად: ამ მიზნით განახორციელონ თითოეულ სკოლაში რემონტის მიმდინარეობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა, მიაღწიონ იმას, რომ გამოყოფილი თანხები და საშენი მასალა მთლიანად იქნეს გამოყენებული დანიშნულებისამებრ

და უზრუნველჰყონ 25 აგვისტოსათვის სკოლების ყოველმხრივ მომზადება. შემჩნეულ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად მიიღონ გადამჭრელი ზომები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამთავითვე დაუკავშირდნენ კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს და დაწესებული ნორმების მიხედვით მიაღწიონ სათბობი მასალის დროულად დამზადებას და სკოლებში მიზიდვას. საჭიროების შემთხვევაში საკითხი დასვან ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად;

გ) კონტროლი გაუწიონ სავაჭრო წერტებში ახალ მიღებულ და შემონახულ სახელმძღვანელო წიგნების მიზანშეწონილად განაწილებას და უზრუნველჰყონ მათი სკოლებამდე დროულად მიტანა.

დ) ქალაქად საშუალო სკოლის ფარგლებში, ხოლო სოფლად რვაწლიანი სკოლის ფარგლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით დააზუსტონ სოფლად მე-5, ქალაქად კი მე-9 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და 1 სექტემბრიდან უზრუნველჰყონ ამ მოსწავლეთა მთლიანად ჩაბმა სკოლაში;

ე) მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა მთლიანად იქნეს ჩაბმული სწავლებაში სოფლად რვაწლიანი სკოლის ასაკისა, ქალაქად კი საშუალო სკოლის ასაკის ის ბავშვები, რომლებიც წინა წლებში იქნენ განთესილნი, ამასთან 1949—50 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად იქნეს შენარჩუნებული შესაფერ კლასებში მოსწავლეთა მთელი კონტიგენტი;

ვ) ზუსტად აღრიცხონ სოფლისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ჩასაბმელი მოსწავლენი და საჭირო ღონისძიებანი გაატარონ მათ გასაერთიანებლად ამ სკოლების სათანადო კლასებში;

ზ) ცალკე შეადგინონ I კლასში ჩასაბმელ შვიდი წლის ასაკის ბავშვთა სიები, დროულად გააფორმონ მათი საბუთები და 25 აგვისტომდე უზრუნველჰყონ მათი სკოლებში ჩარიცხვა. აღკვეთონ პირველი კლასისათვის არასრულწლოვანი ბავშვების სკოლაში მიღება;

თ) სისტემატურად მოითხოვონ ცნობები სახლმმართველებისაგან, კომენდანტებისა, სახლის მფლობელებისა და სოფლსაბჭოებისაგან საცხოვრებლად სხვაგან გადასულ ან ახალ მოსულ ბავშვებისა და მოზარდების შესახებ და უზრუნველჰყონ ამ ბავშვების სათანადო კლასებში ჩარიცხვა.

ი) სასწავლო წლის დასაწყისიდან მტკიცედ დაიცვან განათლების სამინისტროს მითითებანი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის შესახებ და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა აღრიცხვის იმგვარად წარმოება, რომ იგი ნათელ სურათს იძლეოდეს მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ;

კ) 25 აგვისტოსათვის შეამოწმონ მოსწავლეთა აღრიცხვის შედეგები და მიიღონ გადამჭრელი ზომები აღრიცხვის გარეშე დარჩენილ მოსწავლეების სკოლაში ჩასაბმელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) პირადათ უხელმძღვანელონ თავიანთ სკოლებში შენობებისა და დგამ-ავეჯის რემონტის მიმდინარეობას, ამ საქმეში ჩააბან კოლმეურნეთა აქტივი და მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ შენობისა და ინვენტარის სრულ წესრიგში მოყვანა 25 აგვისტოსათვის;

ბ) სოფლად დაუკავშირდნენ სოფლსაბჭოებს, ქალაქად სახლმმართველებს, კომენდანტებსა და მათი უშუალო მონაწილეობით ზუსტად აღრიცხონ თავიანთ სამოქმედო უბანში სკოლის ასაკის ყველა ბავშვი და მიიღონ ზომები სექტემბერში მათ სკოლაში ჩასაბმელად;

გ) დარჩენილ დროის განმავლობაში მოაწყონ ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან, გაუწიონ მათ სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით დახმარება და უზრუნველჰყონ მათი საშემოდგომო გამოცდაზე მომზადებული გამოცხადება;

დ) ზაფხულის პერიოდში უზრუნველჰყონ სასკოლო მიწის ნაკვეთების სათანადოთ დამუშავება და მოვლა, რისთვისაც გააპიროვნონ ნაკვეთებზე სოფლად დარჩენილი მოსწავლეები და სკოლის მუშაკები.

3. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას, დაწყებით და საშუალო სკოლების სამმართველოსთან ერთად დროულად გაანაწილოს ახალგამოსული სახელმძღვანელოები და გაუწიოს კონტროლი მათ ადგილზე დროულად დაყვანის საქმეს.

4. მათვე დაევალოს 5 დღის ვადაში შეამოწმონ მრეწველობის სამინისტროებისა, წარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სასწავლო საკანცელარიო ნივთების დამზადების მდგომარეობა და შედეგები მომახსენოს მე.

5. დაევალოს დაწყებით და საშუალო სკოლების სამმართველოს, სახელმძღვანელო განყოფილებასთან ერთად:

ა) უზრუნველჰყოს სასწავლო პროგრამების დროულად გამოცემა, მიიღოს გადამჭრელი ზომები მათი 20 აგვისტომდე ადგილებზე დასაყვანად;

ბ) აგრეთვე უზრუნველჰყოს სასწავლო გეგმისა და სკოლის მუშაობის აგეგმვის შესახებ მითითებების გამოცემა და 20 აგვისტომდე ადგილებზე დაგზავნა.

6. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ჩამორჩენისათვის გაფრთხილებული იქნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. გაგლოშვილი, კაჭრეთის, გორის, ქარელის, ასპინძის, ახმეტის, დუშეთის, ყაზბეგის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ახალქალაქის, ადიგენის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ბოლნისის, ქვემო სვანეთის, ცაგერის, ჭიათურისა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, თუ ისინი უახლოეს დროში არ გამოასწორებენ სამზადისში არსებულ ჩამორჩენას, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება ორგანიზაციული ზომები.

7. ვინაიდან ზოგი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების მიერ სათანადოდ არ ხორციელდება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, ხოლო მრეწველობის სამინისტროები, წარმოებები და სავაჭრო ორგანიზაციები დროულად არ ასრულებენ დავალებებს სასწავლო ნივთების დამზადებისა და შემოზიდვის შესახებ. კერძოთ, არ სრულდება გეგმა მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმელების დამზადების, დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე საჭირო ზომების მისაღებად.

8. ვავალებ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრების შემაჯამებელ რესპუბლიკურ კომისიას (თავმჯდომარე ამხ. გ. სარიშვილი) 25 აგვისტომდე უზრუნველჰყოს ადგილებიდან სოციალისტური შეჯიბრების მასალების მიღება და შეჯამება და შედეგი წარმომიდგინოს განსახილველად.

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრი ვ. კუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2305

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 23 ივლისი

### ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინიტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მთელი რიგი ბრძანებებისა და მითითებებისა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების უმრავლესობა, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საბავშვო დაწესებულებათა დირექტორები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სოციალისტური საკუთრების ხანძრისაგან დაცვის საქმეს, სისტემატურად არ ზრუნავენ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საკითხებზე, მოსწავლეთა შორის არ ატარებენ საუბრებს ხანძრის საწინააღმდეგო თემებზე და ამ მნიშვნელოვან საქმეს აძლევენ კამპანიურ ხასიათს, რის შედეგად საქართველოს სსრ ზოგიერთ ქალაქებსა და რაიონებში 1948—49 სასწავლო წელს დაიწვა რამდენიმე სკოლა (გულრიფშის რაიონში, სოფ. ჩონთოში, გეგეჭკორის—სოფ. დოშაკურსა და თამაკონში, ჯავის—სოფ. ზემოკოხში, ახალქალაქის—სოფ. გოგაშენი, ცაგერის—სოფ. სურამში, ამბროლაურის—სოფ. ცახში და სხვა), რამაც სახელმწიფოს მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი. ამ სკოლების მოსწავლეები კი დიდიხნის განმავლობაში დარჩნენ სკოლის გარეშე.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქისა და ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების და პედსასწავლებლების დირექტორებმა—მიიღონ საჭირო ზომები ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ დაშვებულ ყველა მითითებების, ბრძანებებისა და განკარგულების შესასრულებლად; პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალს შორის განიხილონ ბროშურა „ტიპობრივი წესები სახანძრო უში-

შრომებისა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, საბავშვო სახლებში, საბავშვო ბაღებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში", ზუსტად დაიცვან ყველა მითითება და ყოველდღიურად აწარმოონ ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმის მტკიცე დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული წესების დამრღვევნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

თანდართული ბროშურა ინახებოდეს დაწესებულებაში, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი.

ამ ბრძანების შესრულების კონტროლს ვავალებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეხანძრე ინსპექტორს ამხ. შ. ფ. **სამხარაძეს.**

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2359

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 28 ივლისი

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაშლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 ივლისის № 723 დადგენილების განხორციელების მიზნით **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო., ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) საკოლმეურნეო წარმოებაში ქალების აქტიურად ჩაბმისა და ბავშვთა აღზრდისათვის სათანადო ხელისშეწყობის მიზნით, გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობათა გამგეობებს საბავშვო ბაღებისა და სეზონურად მოწყობილ საზაფხულო მოედნების ორგანიზაციის საქმეში (შენობის შერჩევა, ინვენტარის შეძენა, ბაღის დაკომპლექტება, პედაგოგიური პერსონალის შერჩევა და სხვა).

ბ) უზრუნველჰყონ საბავშვო ბაღის რეჟიმის ზუსტად განხორციელება: ძილის მოწყობა, სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების განმტკიცება, არჩევითი თამაშისა და მეცადინეობის სწორად წარმართვა, სასწავლო ნივთებით, ხელსაწყოებით, სათამაშოებით და საბავშვო ლიტერატურით მომარაგება.

2. გააძლიერონ ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებზე და სეზონურად მოწყობილ მოედნებზე აღმზრდელობითი და პედაგოგიური მუშაობის სისტემატური შესწავლით, საბავშვო ბაღის გამოცდილი გამგის და აღმზრდელების მიმაგრებით, ადგილზე დახმარების გაწევით, მითითებების მიცემით და კონტროლის დაწესებით.

3. დაევალოს სკოლამდელი მეთოდური კაბინეტის გამგეებს გააძლიერონ პედაგოგიური და მეთოდური ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებსა და სეზონურად მოწყობილ საბავშვო მოედნებზე; საბავშვო ბაღების მუშაობის შესწავლით, მითითებების მიცემით, მეთოდგაერთიანებების მუშაობაში ჩაბმით, საბავშვო ბაღების კარგი მუშაობის გამოცდილებათა განზოგადოებით.

ეროვნული

4. დაევალოს საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებისა და სეზონურად მოწყობილ საბავშვო მოედნების გამგეებს:

ა) აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით იზრუნონ ეზოების კეთილმოწყობაზე (ყვავილნარისა და ბოსტნის გაშენება, ფიზკულტურულ მოედნის მოწყობა, ეზოში თამაშისათვის პირობების შექმნა და სხვა.);

ბ) უზრუნველჰყონ საბავშვო ბაღებში ბავშვთა ყოველდღიური ნორმალური დასწრება, მოაწესრიგონ ბავშვების ცხოვრება შესაფერისი მყუდრო გარემოს შექმნით, შეუქმნან ბავშვებს პირობები კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებისათვის;

გ) გააძლიერონ მუშაობა ბავშვთა ყოველმხრივი განვითარებისა და აღზრდის საქმეზე: საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს ძირითადი ამოცანების, საპროგრამო მასალისა და პედაგოგიური აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის დაუფლებით, აგეგმვა-აღრიცხვის სწორი წარმოებით, არჩევითი თამაშისა და მეცადინეობის და სავალდებულო მეცადინეობის სწორი წარმართვით, პედაგოგიურ საბჭოებზე აღმზრდელობითი საკითხების მოსმენით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება ადგილზე საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებისა და სეზონური საბავშვო მოედნების მუშაობის შესწავლით, მითითებების მიცემით და სახელმძღვანელო მასალების მიწოდებით.

**საქართველოს სსრ განათლების**

**მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2424

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 1 აგვისტო

## საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 ნოემბრის № 1364 დადგენილება და ამის საფუძველზე საქართველოს განსახკომის 1944 წ. 14 დეკემბრის № 3583 ბრძანება „საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული.

1. საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების გეგმა არ არის შესრულებული 1947 და 1948 წლებში. არ შესრულდა აგრეთვე საბავშვო ბაღის შენობათა აშენების გეგმა, ნაცვლად გათვალისწინებული 3 საბავშვო ბაღის შენობისა დამთავრებულია მხოლოდ ორი.

2. ამავე წლებში არ იყო შესრულებული აგრეთვე საბავშვო ბაღებში ბავშვთა კონტინგენტის გეგმა, არ იქნა ჩაბმული 1946 წ. 1131 ბავშვი, 1947 წ. 1191 ბავშვი და 1948 წ. 1451 ბავშვი.

3. ადგილი ჰქონდა წარმოებაში ჩაბმულ ქალთა ბავშვების საბავშვო ბაღებში მიუღებლობას, ადგილების უქონლობის გამო. საქართველოს რესპუბლიკაში 1949 წლის 1 იანვრისათვის უარი ეთქვა 720 ბავშვს, აქედან ქ. თბილისში 350 ბავშვს.

4. სახელმწიფოს მიერ, საბავშვო ბაღების შესანახად გაღებულ თანხებიდან აუთვისებელია: 1947 წ. 20 %, 1948 წ. 20,4%.

5. იმის გამო, რომ საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება, 1947 წელში საბავშვო ბაღები ნაცვლად გათვალისწინებული 300 ადგილისა გაფართოვდა მხოლოდ 100 ადგილით, 1948 წელში კი 200 ადგილის ნაცვლად მხოლოდ 100 ადგილით გაფართოვდა.

6. საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების და მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება ადგილებზე სახალხო

განათლების ორგანოების ცალკეულ ხელმძღვანელების ამ საქმისადმი არასაკმარისი ყურადღებით.

7. საბავშვო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი არასაკმარისად არის მომარაგებული მაგარი და რბილი ინვენტარით, სადილისა და ჩაის ჭურჭლით.

რიგ საბავშვო დაწესებულებებში კვება არადამაკმაყოფილებელია.

საბავშვო დაწესებულებების ქსელის შემდგომი გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 ივლისის № 792 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს:

ა) გაადიდონ საბავშვო ბაღებში ბავშვთა კონტინგენტი 1949 წლის დასასრულისათვის 13.300-მდე;

ბ) მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები, რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს არადანიშნულებით გამოყენებული საბავშვო ბაღების შენობები;

გ) შემოღებულ იქნეს 1950 წლის 1 იანვრიდან საბავშვო ბაღებში, საბავშვო სახლებში და სატყეო სკოლებში კვების ახალი ნორმები;

დ) სატყეო სკოლა-სანატორიუმში ბავშვთა შენახვის გადასახადი შემოღებულ იქნეს სანატორული ტიპის საბავშვო ბაღებში ბავშვთა შენახვის გადასახადის რაოდენობით, რაც დაწესებულია საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 31 აგვისტოს № 3290 დადგენილებით.

2. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას:

ა) 1950 წლის განაცხადის წარდგენის დროს გაითვალისწინოს განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფა, მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით;

ბ) 1949 წლის IV კვარტალში დაისვას საკითხი საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს წინაშე 1950 წლის 1 იანვრიდან საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლებისათვის საქართველოს მინისტრთა საბჭოს 12 ივლისის № 792 დადგენილების შესაბამისად კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად.

3. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას 1950 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საბავშვო ბაღების და საბავშვო სახლების რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფა თანახმად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 12/VII (№792) დადგენილებით დაწესებული ნორმებისა.

4. ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ბარამიძეს 1949 წლის 15 სექტემბრისათვის მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას არადანიშნულებისამებრ გამოყენებულ საბავშვო ბაღების შენობათა გასანთავისუფლებლად მიღებულ ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ.

5) დაევალოს აჭარის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ახვლედიანს 1949 წელს დაამთავროს ქ. ბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობა 100 ბავშვისათვის.

6. 1950 წელს დამატებით გაიხსნას 1 სატყეო სკოლა-სანატორიუმი 100 ბავშვის კონტინგენტით.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. უ. ობოლაძემ 1 თვის ვადაში წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას პროექტი სატყეო სკოლა-სანატორიუმის გახსნისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ.

7. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ გააძლიეროს კონტროლი და გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებზე.

8. უფროს ინსპექტორს ამხ. დ. დუდუჩავას ვავალებ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკოლის ამოცანების შესახებ 1949—1950 სასწავლო წელს *)

განვლილი, 1948—1949 სასწავლო წელი ჩვენმა სკოლებმა მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრეს.

სკოლისა და მასწავლებლებისადმი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა და დახმარების შედეგად განმტკიცდა ჩვენი სკოლების მატერიალური ბაზა, გადიდდა მოსწავლეთა კონტინგენტი, სკოლები შეივსო უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებით. მოსწავლეები ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. მასწავლებელთა დასახმარებლად გამოიცა მრავალი მეთოდური ლიტერატურა, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო კაბინეტები შეივსო მილიონ მანეთზე მეტად ღირებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, ახალი მხატვრული და სამეცნიერო-პოლიტიკური ლიტერატურით. გასულ წელს პარტიამ და მთავრობამ სახალხო განათლების საკითხებზე მიიღეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებმაც შეაიარაღეს სკოლები და მასწავლებლები საბრძოლო პროგრამით ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად და შექმნეს ხელსაყრელი პირობები სკოლებში და სააღმზრდელო დაწესებულებებში მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ჩვენი სკოლების მასწავლებლობამ, ახორციელებდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას იდეოლოგიური მუშაობის საკითხების შესახებ, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სკოლის შესახებ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. თვალსაჩინოდ ამაღლდა სწავლა-აღზრდის იდეურ-თეორიული დონე,

*) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1949 წ. 19 აგვისტოს განიხილა ქვემოთ მოტანილი სადირექტივო წერილი „სკოლების ამოცანების შესახებ 1949—1950 სასწავლო წელს“ და გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ეს წერილი საფუძვლიანად უნდა განიხილონ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (1—10 სექტემბრის რიცხვებში) და დასახონ ღონისძიებანი სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გაუმჯობესდა ცალკე საგნების სწავლების ხარისხი. დედაენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების მასწავლებლები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპით, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გულმოდგინედ იბრძოდნენ მოსწავლეთა შესაიარაღებლად მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და სისტემატური ცოდნით, მათში ბუნების მოვლენებსა და საზოგადოების განვითარების კანონებზე სწორი მეცნიერული შეხედულებათა შესამუშავებლად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმხედველობის აღზრდას, ჩვენი ხალხისა და მისი ინტერესებისათვის თავდადების, პატრიოტიზმისა და ნაციონალური სიამაყის გრძნობის აღზრდას, ბურჟუაზიულ-რეაქციული კულტურის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთების გამომუშავებას.

გასულ წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია. სკოლებში გაიზარდა კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გაიზარდა მასწავლებელთა პოლიტიკური აქტივობა და მათი მხურვალე მისწრაფება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმად დაუფლებისადმი, მეცნიერული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისადმი.

1948—1949 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულმა გადასაყვანმა და გამოსაშვებმა გამოცდებმა ცხადჰყო, რომ მრავალი სკოლის მოსწავლე გასულ წელთან შედარებით უფრო ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით არის შეიარაღებული. წელს პირველი-მესამე კლასების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა გადაყვანილ იქნა შემდეგ კლასში უგამოცდოდ. თუ გასულ წელს შემდეგ კლასში გადაყვანილ იქნა პირველი-მესამე კლასის მოსწავლეთა 77 პროც. და იმავე კლასში დატოვებულ იქნა 13,3 პროცენტი, წელს ამავე კლასების მოსწავლეთა 86,4 პროცენტი იქნა გადაყვანილი შემდეგ კლასში, ხოლო იმავე კლასში დატოვებულია 8,5 პროცენტი.

სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებაზე მიგვითითებს აგრეთვე სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული გამოცდების შედეგები.

1946—1947 სასწავლო წლის ბოლოს XI კლასის 11.373 მოსწავლიდან საშუალო სკოლა დაამთავრა 9.771 მოსწავლემ, საშუალო სკოლა ვერ დაამთავრა 1602 მოსწავლემ (14 პროც.), ოქროსა და ვერცხლის მედალი მიიღო 783 მოსწავლემ (8 პროც.).

მიმდინარე სასწავლო წელს გამოცდებზე დაშვებულ XI კლასის 11.536 მოსწავლიდან გამოცდები ჩააბარა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 10.640 მოსწავლემ (92,93 პროც.), გამოცდები ვერ ჩააბარა 896 მოსწავლემ (7,8 პროც.). პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით მედლებით დაჯილდოებულ კანდიდატებად განათლების სამინისტროში წარმოდგენილი იყო 1.224 წარჩინებული მოსწავლე. საგამოცდო წერითი ნამუშევრების საფუძვლიანი შემოწმების შედეგად განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ მედლებით დაჯილდოებულ იქნა 880 მოსწავლე (8,3 პროც.), 431 მოსწავლე—ოქროს მედლით, ხოლო 479 მოსწავლე-ვერცხლის მედლით.

მაგრამ, მიუხედავად არსებული მიღწევებისა, ჩვენი სკოლების მუშაობას თან ახლავს არსებითი ნაკლოვანებანიც. უმთავრეს ნაკლად ჯერ კიდევ უნდა ჩაითვალოს ცალკე საგნების სწავლების ხარისხის დაბალი დონე.

საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი სამართლიანად მიგვითითებდა იმაზე, რომ „მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის წარმატება ჯერ კიდევ დაბალია. 1947—48 სასწავლო წელს შემდეგ კლასში ვერ გადავიდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 14,2 პროც. ეს იმის შედეგია, რომ ბევრი პედაგოგი ანგარიშს არ უწევს ჩამორჩენილ მოსწავლეთა ხასიათის თავისებურებას და არ ეწევა მათთან სპეციალურ მუშაობას“. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის ეს მითითებანი სავსებით დაადასტურა წლიური შემოწმებითი გამოცდებმა. მრავალ სკოლაში მოსწავლეები მოუმზადებლად გამოცხადდნენ გამოცდებზე და საპროგრამო მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს.

როგორც ამას ამხანაგი ჩარკვიანი მიგვითითებს, სწავლაში მოსწავლეთა ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ზოგიერთი მასწავლებელი დღემდე სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს. ასეთი მასწავლებლების რიცხვი საკმაოდ დიდია. ისინი სუსტად მუშაობენ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად და არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან პედაგოგიური ოსტატობის დასაუფლებლად. ჩვენი სკოლების მასწავლებლობის ეს ნაწილი გაკვეთილისათვის არ ემზადება, არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ მიმართავს ვარჯიშსა და განმეორებას, საშინაო დავალებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას, არ აჩვევს მოსწავლეებს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას და ამის გამო გაკვეთილები უშინაარსო, უინტერესო, ნაძალადევ პროცესად იქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები საფუძვლიანად არ სწავლობენ ბავშვთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათს ინტერესებს, ოჯახურ პირობებსა და გარემოს; არ ატარებენ მათ შორის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს; მტკიცედ არ სთხოვენ მათ სკოლის დავალებათა შესრულებას და ამიტომ საკმაოდ ვერ ნერგავენ ბავშვებში ბეჯითი სწავლისა და წესიერი ქცევის შეგნებას.

ზოგიერთი მასწავლებლის მეცნიერულ-თეორიული განათლება და პოლიტიკურ-იდეური მომზადების დონე დაბალია. ასეთი მასწავლებლები ვერ ახერხებენ გაკვეთილებზე ღრმად და საფუძვლიანად გააშუქონ ცალკე საგნების პროგრამებით გათვალისწინებული საკითხები და ამ საკითხების პრიმიტიული, ზერელე, ზოგადი გადაცემით კმაყოფილდებიან. თავის მხრივ, ეს იმას იწვევს, რომ მოსწავლეებს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მხოლოდ არაზუსტი, ზერელე, არამტკიცე ცოდნა გააჩნიათ, ამ მოვლენების არსში ისინი სათანადოდ ვერ ერკვევიან და სკოლაში მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას ვერ ახერხებენ.

მთელ რიგ რაიონებში განხორციელებული არ არის განათლების სამინისტროს მითითებანი აკადემიური ჩამორჩენილობის გამოსწორების მიზნით თანმიმდევრული ღონისძიებების გატარების შესახებ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე. მრავალ სკოლაში მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში მხოლოდ მოწინავე მოსწავლენი იყვნენ, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების გამოსწორების საქმეს კი ყურადღება არ ექცეოდა. ზოგიერთ სკოლაში წელსაც, ამ არაჯანსაღი ტენდენციის გავლენით მე-11 კლასებში წინასწარ „შეარჩიეს“ ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატები და პედაგოგთა კოლექტივები უმთავრესად მათთან აწარმოებდნენ მუშაობას, ხოლო დანარჩენი მოსწავლენი უყურადღებოდ რჩებოდნენ. ხშირად მათი შეფასება გამოცდებზე ზერელედ წარმოებდა და ზოგიერთმა მათგანმა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი დაუმსახურებლად მიიღო.

მრავალ სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება ჯერ კიდევ მოწყვეტილია აღმზრდელობითი ამოცანებისაგან, არ არის გამსჭვალული ღრმა იდეურ-პოლიტიკური შინაარსით. ბევრ სკოლაში კლასიკოსი და საბჭოთა მწერლების შესწავლას არ უკავშირებენ იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს: მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა არა აქვთ მწერლის მსოფლმხედველობაზე, მხატვრული ნაწარმოების იდეურ მხარეზე, ისინი სუსტად ერკვევიან იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც ნაწარმოები წარმოიშვა. (მაგალითად, ხობის რაიონის ხორგის, სამტრე-

დიის რაიონის კულაშის, წალენჯიხის რაიონის ჯვარის და სხვ. სკოლები).

ზოგი საშუალო სკოლის მიერ მედლის კანდიდატებად წარმოდგენილ მე-11 კლასის მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები, ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის შეცდომებთან ერთად, სავსეა უაზრო და ბუნდოვანი წინადადებებით და მოსწავლეთა გონებრივ და იდეურ მოუმწიფებლობას მოწმობს. ასევე, უფროსი კლასების მოსწავლეებსაც ისტორიაში გააზრებული არა აქვთ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა, არ შესწევთ ისტორიულ მოვლენათა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის უნარი, საფუძვლიანად არ ესმით საბჭოთა წყობილების უპირატესობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ წყობილებასთან შედარებით, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ საბჭოთა დემოკრატიისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ბუნებასა და თავისებურებაზე.

ბევრ სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების საპროგრამო მასალის სწავლების პროცესში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეებში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებას. მოსწავლეები ეცნობიან ბუნების ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებს, იმახსოვრებენ მათ გარეგნულ აღწერილობას, მაგრამ ღრმად ვერ სწვდებიან მათი წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებას და ხშირად მხოლოდ გაუაზრებლად იზეპირებენ წიგნებში წარმოდგენილ დებულებებსა და კანონებს,

უნდა აღინიშნოს აგრეთვე რომ სწავლების საქმეში ჯერ კიდევ ფართოდ არის ფესვგადგმული ფორმალიზმი. განსაკუთრებით ითქმის ეს საბუნებისმეტყველო დისციპლინებზე. მრავალ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების მოწყობას, მათს შევსებას იარაღებითა და ხელსაწყოებით, საცდელი ნაკვეთების მოწყობას. საპროგრამო მასალის შესწავლის დროს არ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ ატარებენ სადემონსტრაციო ექსპერიმენტებს, არ აწარმოებენ ამოცანების ამოხსნას, მაგალითებზე ვარჯიშს; სასკოლო მიწის ნაკვეთებზე არ ატარებენ ცდებს, არ მიმართავენ ჩახაზვა-ჩახატვას და სხვა სახის პრაქტიკულ მუშაობას; სუსტია კავშირი სკოლებსა და საწარმოებს შორის ისეთ ქალაქებშიც კი, სადაც ამ მხრივ სათანადო შესაძლებლობანი არსებობს. ამის შედეგად, ამ დისციპლინებში მოსწავლეთა მომზადების დონე ბევრ სკოლაში დაბალია.

გასული წლის განმავლობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად განათლების სამინისტროს მიერ მრავალი ღონისძიება-

ნი იქნა გატარებული, მაგრამ ბევრ სკოლაში ამ მხრივ არსებითი წარმატებანი არ არის მიღწეული. მრავალ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აწარმოებენ მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას და საჭირო მონდომებით არ იყენებენ სკოლებში არსებულ საშუალებებს ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ჯერ კიდევ ძირგადგმულია ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკა. იმის ნაცვლად, რომ ცოდნის შეფასება, წარმატების ნიშანი ყოველდღიურად გამოიყენოს სკოლაში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, მოსწავლეს სისტემატურად მოთხოვოს გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა, ზოგი მასწავლებელი ამჯობინებს იოლი გზით სვლას—დაუმსახურებლად უწერს გადიდებულ ნიშანს მოსწავლეს და ამით ცდილობს დაფაროს თავისი სუსტი, უვარგისი მუშაობის შედეგები.

ეს განსაკუთრებით გამომჟღავნდა მედლის კანდიდატებად წარმოდგენილ XI კლასის მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების ანალიზის დროს.

ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ცაგერის, ქარელის, გორის, მარნეულის, ხობის, სამტრედიის, ყაზბეგის და სხვა რაიონების ზოგი სკოლის საგამოცდო კომისიები არ უყენებდნენ მოსწავლეებს სათანადო მოთხოვნებს მათი ცოდნის შეფასების პროცესში და მათ მიერ მედლების კანდიდატებად წარმოდგენილ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების თვალსაჩინო ნაწილი ცუდად შესრულებული აღმოჩდა, რის გამო მედლების მინიჭებაზე მათ უარი ეთქვა.

სწავლა-აღზრდის საქმისათვის ამგვარი საზიანო პრაქტიკის გავრცელებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ის გარემოება, რომ სკოლების დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები არათუ უყურადღებოდ სტოვებენ ცოდნის შეფასებაში არსებულ დამახინჯებებს, არამედ ზოგჯერ აქეზებენ კიდეც მასწავლებლებს, თვითვე აყენებენ მათ ლიბერალიზმის გზაზე და ამით ძირს უთხრიან სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლებისათვის ნამდვილი, თანმიმდევრული ბრძოლის საქმეს. სწორედ ცოდნის შეფასებაში არსებული ამგვარი ლიბერალიზმით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გასულ და მიმდინარე წელს მისაღებ გამოცდებზე მრავალმა კურსდამთავრებულმა შეფასება ორი მიიღო ისეთ საგნებში, რომლებშიც მას სკოლამ მისცა შეფასება 3, ხშირად 4 და არაიშვიათად—ხუთიც კი.

სწავლა-აღზრდის საქმის ზემოდასახელებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ რაიონში სკოლების და მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლისა და ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავნელობის საქმე დღემდე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამასთანავე, მასწავლებლობას მეთოდურ-პედაგოგიური ხასიათის დახმარებასაც არადამაკმაყოფილებლად უწევენ. ზოგი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებანი სუსტ კონტროლს უწევენ სკოლებში განათლების სამინისტროს დირექტივების შესრულებას, განათლების განყოფილების საინსპექტორო გამოკვლევების მასალები ხშირად ზერელე ხასიათისაა—ისინი არ იძლევიან სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებათა ღრმა და სწორ ანალიზს. მცირე არ არის ისეთი განათლების განყოფილებათა. რიცხვი, რომლებიც ვერ. იცნობენ სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის დადებითსა და უარყოფითს მხარეებს და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას არ აწარმოებენ.

მრავალ სკოლაში ძალიან სუსტად დგას პირველადი კონტროლი მასწავლებლის მუშაობაზე. სკოლის დირექტორები (გამგეები) სასწავლო ნაწილის გამგეები კარგად. არ იცნობენ მასწავლებლებს, განათლების სამინისტროს ბრძანებებს, მითითებებს, დავალებებს, არ ამოწმებენ გაკვეთილებს, არ იციან, რა ნაკლი აქვს ცალკე საგნების სწავლებას და, ამდენად, კონკრეტულ ღონისძიებებსაც ვერ ატარებენ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით. მრავალ სკოლაში სუსტად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოებიც.

საქართველოს სსრ მრავალი რაიონის სკოლები ჯერ კიდევ მოკლებულია განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ოპერატიულ დახმარებას, ეს სამმართველო არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს აგრეთვე განათლების სამინისტროს უმთავრესი დირექტივების შესრულების კონტროლს.

დიდი ნაკლი გააჩნია მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას. საგნობრივი კომისიების სხდომებს და მეთოდურ თათბირებს ზოგიერთ სკოლაში ფორმალურად ატარებენ. მცირე არ არის ისეთი სკოლის რიცხვი, სადაც უშინაარსოდ და ფორმალურად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები და მასწავლებლის გამოცდილებას ფაქტიურად არაფერი ემატება. ბევრ სკოლაში ზერელე და ფორმალურ ნიადაგზე არის დაყენებული სანიმუშო გაკვეთილების ჩატარება და ამიტომ ასეთი გაკვეთილები არაფერს აძლევენ მასწავლებლებს, ხელს არ უწყობენ მათ მუშაობის გაუმჯობესებაში.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა მიღებული, მთელ რიგ რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ზოგ რაიონში სათანადოდ არ აფა-

სებენ ამ უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას და არ ატარებენ საჭირო ღონისძიებას სკოლის ასაკის ბავშვების სკოლებში მთლიანად ჩასაბმელად. ზოგ რაიონში არ აწარმოებენ სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტ აღრიცხვას, არ ზრუნავენ უდედმამო და ხელმოკლე ოჯახების ბავშვების დასახმარებლად, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მოძრაობის ზუსტად აღრიცხვას, არ იბრძვიან სკოლაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის წლის ბოლომდე შესანარჩუნებლად.

ამ საქმეში არ არის ჩაბმული მშობელთა საზოგადოებრიობა.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაობის ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განათლების სამინისტრო ავალებს მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს, განათლების განყოფილებებს და განათლების სისტემის სხვა მუშაკებს ზუსტად გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა სკოლაში დაუქვემდებარდეს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

ყოველი გაკვეთილი სკოლაში იმგვარად ტარდებოდეს, რომ საგნის კურსის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებასთან ერთად მოსწავლეებში იზრდებოდეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობები, სოციალისტური სამშობლოსა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი უანგარო სიყვარულისა და თავდადების სულისკვეთება; ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველდღიური ზრდის მაჩვენებლების კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე მოსწავლეებს სისტემატურად უნდა ვუჩვენებდეთ საბჭოთა წყობილებისა და სოციალისტური საზოგადოების უპირატესობას კაპიტალისტურ საზოგადოებასთან შედარებით და მათში ვზრდიდეთ საბჭოთა ნაციონალური სიამაყის გრძნობებს. ცალკე საგნების პროგრამათა სათანადო თემების გავლისას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისის გამომუშავებას; ასაკობრივი განვითარების გათვალისწინებით მასწავლებლებმა, სასწავლო პროგრამების შესაფერისი ადგილების გავლასთან დაკავშირებით, თანდათანობით შეაჩვიონ მოსწავლეები მატერიალისტურ-დიალექტიკურ აზროვნებას. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მოსწავლეებში სოციალისტური საკუთრებისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების, სწავლისა და შრომის რეჟიმის და დისციპლინის დარღვევის, რელიგიური განწყობილების, ეგოიზმის, ქედმაღლობისა და სხვ. არაჯანსაღ გამოვლინებებს. სკოლის მუშაკთა ერთერთ მთავარ ამო-

ცანად დასახულ იქნეს მოსწავლეებში ისეთი მაღალი თვისებების აღზრდისა და გამომუშავებისათვის ბრძოლა, როგორიც არის მტკიცე ნებისყოფა, ღრმა პრინციპულობა, სკოლისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და ჩვენი ქვეყნის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სხვა მაღალი მორალური თვისებები.

ზუსტად უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღზრდის ამოცანები შეუძლებელია დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს სწავლებისაგან გამოთიშულად. იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს მეცნიერებათა სწავლებისას პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების მაღალ მეცნიერულ დონეზე განხილვასა და გადაცემას. იდეურ-პოლიტიკური აღზრდის კონკრეტული საკითხები სისტემატურად იქნეს განხილული პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მეთოდურ თათბირებზე და საგნობრივ კომისიებში.

2. მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა იბრძოლონ წიგნიერების დონის შემდგომი ამაღლებისათვის და ლიტერატურის სწავლების საქმეში ღრმა იდეურობის დასანერგავად. მხატვრული ნაწარმოების გარჩევისას მკვეთრად გაუსვან ხაზი ნაწარმოებში მოცემულ გმირთა კლასობრივ ბუნებას, მისწრაფებას, განწყობილებას და იდეოლოგიას, ღრმად გააშუქონ გმირთა სოციალური გარემო; საბჭოთა მწერლების მხატვრული ნაწარმოების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებების (სიმართლე, პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა, ჰუმანურობა, სიმტკიცე-შეუდრეკლობა, სამშობლოსადმი სიყვარული და სხვ.) გამომუშავებას. მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა მთელ მსოფლიოში.

მასწავლებლებმა ზუსტად დაიცვან წერითი მუშაობის ნორმები. საშუალო სკოლის უფროს კლასებში იმგვარად შეარჩიონ წერითი თემები, რომ ისინი შეიცავდნენ ნაწარმოების იდეური მხარის გარჩევა-ანალიზს; გულდასმით გაასწორონ წერითი ნამუშევრები და მათი შეფასება აწარმოონ იმის მიხედვით, თუ ენობრივად რამდენად სწორად არის შესრულებული ისინი, ამასთან, ახერხებს თუ არა მოსწავლე ლიტერატურული მასალის ცოდნის საფუძველზე აზრის თანმიმდევრულად გაშლას და ატარებს თუ არა სწორ იდეურ თვალსაზრისს თემის გაშუქებისას.

3. ყველა სკოლაში გადამჭრელი ქმედითი ღონისძიებანი შემუშავდეს საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად დიდი რუსი ხალხის ენის სწავლების არსებითად გაუმჯობესების

შესახებ და მიღწეულ იქნეს, „რომ არა მარტო მედალოსნებმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას, დამაკმაყოფილებლად იცოდეს რუსული ენა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსული ენის გაკვეთილებზე მეტი ადგილი დაეთმოს რუსული სიტყვების მარაგით მოსწავლეთა მეხსიერების გამდიდრებას და სიტყვების სწორ გამოთქმაზე ვარჯიშს. გრამატიკული კანონების სწავლება მთლიანად იქნეს დამყარებული ენობრივ ვარჯიშზე ლიტერატურული და სასაუბრო მასალებიდან.

წერითი მუშაობა რუსულ ენაში ზუსტად ტარდებოდეს ამ საგნისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად.

საპროგრამო ლიტერატურული მასალა—რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშები—ფართოდ იქნეს გამოყენებული მოსწავლეებში საბჭოთა ადამიანების დამახასიათებელი მაღალზნეობრივი თვისებების აღზრდის მიზნით.

გადაჭრით გაუმჯობესდეს კლასგარეშე კითხვა რუსულ ენაში, ამ მიზნით მიღებულ იქნეს ზომები სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებად კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით რუსულ ენაზე.

რუსული ენის სწავლების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამ საგნის სწავლების საკითხს პერიოდულად უნდა იხილავდეს პედაგოგიური საბჭო.

4. სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებმა მოახდინონ გაკვეთილებზე ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სრული ანალიზი, განუმარტონ მოსწავლეებს, რომ ისტორიული მოვლენები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება და კანონზომიერად იცვლება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური პირობების შეცვლასთან ერთად.

ზუსტად განუმარტონ მოსწავლეებს ისტორიული ცნებები და ტერმინები და ყურადღება მიაქციონ მათ გააზრებულად შეთვისებას; მტკიცედ მოსთხოვონ მოსწავლეებს ძირითადი ქრონოლოგიური თარიღების დამახსოვრება, კონკრეტული მაგალითებით უჩვენონ, რომ ისტორიული პირები თავიანთი სურვილის მიხედვით კი არ მოქმედებდნენ, არამედ მათი შეხედულებანი, განწყობილებანი და მისწრაფებანი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურზე ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული; ისტორიული მასალის შესწავლა ორგანულად დაუკავშირონ თანადროულობის შესანიშნავ მოვლენებს და ეს კავშირი გამოიყენონ მოსწავლეებში პატრიოტული გრძნობების გაღვიძებისა და სიმტკიცის აღზრდის მიზნით.

ისტორიის შემსწავლელი წრეების მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ წრეებში წაკითხული მოხსენებები ხელს უწყობდეს მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და მოსწავლეებს აჩვევდეს ამ იდეოლოგიის თვალსაზრისით ისტორიული მოვლენების დამოუკიდებელ ანალიზს.

5. ფიზიკის და ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის შესწავლას საფუძვლად დაედოს თვალსაჩინოება, ექსპერიმენტი, პრაქტიკული ვარჯიში: თითოეული დებულება, კანონი, წესი, ფორმულა ამ საგანთა კურსიდან შესწავლილ უნდა იქნეს დემონსტრირებისა და ექსპერიმენტის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა მიერ ამ საგნების კურსის შეგნებულად შეთვისებას, ფიზიკური და ქიმიური მოვლენების იმგვარად გაშუქებას, რომ მოსწავლეთათვის მთლიანად გასაგები გახდეს ამ მოვლენათა არსი.

ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილზე ფართოდ წარმოებდეს მოსწავლეებისათვის ჩვენს ქვეყანაში ტექნიკის შემდგომი განვითარების მხრივ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მოპოვებული მიღწევების გაცნობა.

ამ საგნების სწავლება ისე იქნას დაყენებული, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და კერძოდ ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მითითება მოსწავლე ახალგაზრდობაში ტექნიკური პროპაგანდის გაშლისა და მათში ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლისადმი ინტერესის გაღვივების შესახებ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მტკიცედ იქნეს გატარებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება (1949 წ. 2/XI, № 3330) „ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში“.

6. გატარებულ იქნეს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ბუნებისმეტყველების სწავლებას საფუძვლად დაედოს ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის მოძღვრება. მიჩურინის ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის გაცნობის საფუძველზე მასწავლებლებმა მისცეს მოსწავლეებს იმის ცოდნა, რომ მიჩურინის მოძღვრება — ეს არის ახალი, უმაღლესი ეტაპი მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარებაში, რომ იგი არა მარტო იძლევა ორგანული სამყაროს მეცნიერულ ახსნას, არამედ აიარაღებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ქმედითი მეთოდებით მცენარეთა და ცხოველთა არსებული და ახალი ჯიშების გაუმჯობესებასა და გამოყვანაში.

ფართოდ გაიშალოს ნორჩ მიჩურინელთა წრეები სკოლაში და მათი მუშაობა წარიმართოს იმგვარად, რომ იგი ხელს უწყობდეს ახალგაზრდობაში მიჩურინული აგრობიოლოგიის გავრცელებას და შესწავლას.

გადაჭრით გაუმჯობესდეს სადემონსტრაციო, ექსპერიმენტული და პრაქტიკული მუშაობა ბუნებისმეტყველებაში. პროგრამით გათვალისწინებული მასალის სწავლებისას გაკვეთილებზე ფართოდ ტარდებოდეს ცდები, დაკვირვებები ლაბორატორიულ-პრაქტიკული მუშაობა. მასწავლებლებმა მოაწყონ სკოლაში ბუნების ცოცხალი კუთხე და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი.

7. მიღწეულ იქნეს მათემატიკის სწავლების დონის შემდგომი ამაღლება. გაძლიერდეს ზეპირი ანგარიში არითმეტიკის გაკვეთილებზე, მას ყოველ გაკვეთილზე დაეთმოს არანაკლებ 5-6 წუთი; სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული ყველა ტიპის არითმეტიკულ ამოცანათა ნიმუშების ამოხსნა გაკვეთილებზე და ამოცანათა ამოხსნის სისტემატური შემოწმება.

წერითი მუშაობა არითმეტიკასა, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში ზუსტად ტარდებოდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით.

მათემატიკის შესწავლისას მე-6-11 კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლოგიკური აზროვნების განვითარებას და სათანადო სივრცითი წარმოდგენების გამომუშავებას. მიღწეულ იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ მოსწავლეებმა მათემატიკის თეორიული კურსი იცოდნენ შეგნებულად და არა მექანიკურად.

8. აღკვეთილ იქნეს უცხო ენათა სწავლების შეუფასებლობა. უცხო ენების სწავლების საქმე წარიმართოს ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1947 წ. 28 ოქტომბრის დადგენილებისა და 1948 წლის 30 იანვრის №183 ბრძანების შესაბამისად.

9. გადაჭრით გაუმჯობესდეს მუსიკალურ-მხატვრული აღზრდა. მიღებულ იქნეს სათანადო ზომები მუსიკა-ხატვის სასწავლო ბაზის განმტკიცებისათვის (სახატავი რვეულები, ფანქრები, საღებავები, ნოტების რვეულები, დასაკრავი იარაღები და სხვ.), ლიტერატურისა და ისტორიის გაკვეთილებზე სათანადო ადგილი დაეთმოს მოსწავლეებისათვის ხელოვნების საუკეთესო შედევრების გაცნობას და დახასიათებას.

აღკვეთილ იქნეს ხაზვის სწავლებისადმი სკოლებში დღემდე არსებული უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. გატარდეს საჭირო ღონის-

ძიებანი, რათა სკოლები უზრუნველყოფილ იქნეს ხაზვისათვის საჭირო ყველა მასალით.

10. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ყურადღების ცენტრში იქნეს დაყენებული სკოლების სახელმძღვანელო წიგნებით მომარაგების საქმე. განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესდეს წიგნების სკოლებში ორგანიზებულად მიტანაზე და მიღწეული იქნეს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს სახელმძღვანელო წიგნები. სასწავლო წლის დაწყებიდანვე გაიშალოს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ყველა მოსწავლე დადიოდეს სკოლაში წიგნებით, გაკვეთილებს ამზადებდეს სახელმძღვანელოების მიხედვით და იძენდეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს. ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეს მოეთხოვოს სახელმძღვანელოში მოცემული დებულებისა და ფაქტების ღრმა ცოდნა. აღიკვეთოს გაკვეთილებზე კონსპექტების წერა და გაკვეთილებზე ჩანაწერებით გაკვეთილების მომზადება. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტარდებოდეს მოსწავლეთა შორის სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების მოვლა-შენახვის, ნივთებისადმი კულტურული დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებისათვის.

11. მტკიცედ იქნეს დაცული სკოლებისათვის დაწესებული რეჟიმი და შინაგანაწესი: მეცადინეობა, დასვენება, საწრეო მუშაობა ზუსტად დაიწყოს და დამთავრდეს დაწესებულ დროს. დროულად გაირკვეს სკოლის შინაგანაწესის დარღვევის მიზეზები და გატარდეს ღონისძიებანი მათ აღსაკვეთად. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებზე დაგვიანებას და გაცდენებს.

12. „მოსწავლეთა წესებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებათა ჩვევად გადაქცევის მიზნით, მოსწავლეებთან სისტემატურად ტარდებოდეს პედაგოგიურ-შემოქმედებითი ხასიათის მუშაობა. „წესების“ გატარების დარგში დამყარებული იქნეს ერთიანი მიდგომა და თვალსაზრისი: სკოლის ყოველი მუშაკი თხოვდეს ყოველ მოსწავლეს „წესების“ განუხრელად გატარებას კლასში, დერეფანში, ეზოში, ქუჩაში, საზოგადოებრივ-საკრებულო ადგილებსა და ოჯახში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „მოსწავლეთა წესების“ იმ მუხლებს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, უფროსებისა და ამხანაგებისადმი პატივისცემით მოპყრობის და სკოლისა და საზოგადოების წინაშე მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შეგნების აღზრდას.

კლასის ხელმძღვანელთა საშუალებით მოსწავლეებთან ტარდებოდეს საუბრები ფორმის მნიშვნელობის შესახებ, დაწესდეს მოს-

წავლეებზე სისტემატური ზედამხედველობა და არ იქნეს დაშვებული მოსწავლეთა მიერ ფორმის ტარების წესების დარღვევა.

სკოლებმა ერთიანად დარაზმონ მასწავლებელთა კოლექტივები ამ ამოცანების გარშემო, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი უწევდეს კონტროლს მოსწავლეებს ფორმის სწორად ტარებაზე სკოლაში და სკოლის გარეთ და მოსწავლეთა მიერ ფორმის ტარების წესების დარღვევის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ღებულობდეს სათანადო ზომებს; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ მშობლებთან იმ მიზნით, რომ ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ სკოლას მოსწავლეთა მიერ ფორმის წესიერად ტარების საქმეში.

13. კლასის ხელმძღვანელებმა საფუძვლიანად შეისწავლონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი, მოთხოვნილებანი და ინტერესები, მათი საცხოვრებელი პირობები და გარემო, განახორციელონ მეთვალყურეობა თავისი კლასის მოსწავლეთა ყოფაქცევასა და წარმატებაზე, კლასში შექმნან მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივი და ჩააბან ის წესრიგისა და შეგნებული დისციპლინის დაცვის საქმეში; მჭიდრო ურთიერთობა იქონიონ მშობლებთან და დაეხმარონ მათ ოჯახში აღმზრდელობით ღონისძიებათა გატარებაში.

14. სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა ქმედითი დახმარება გაუწიონ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს მუშაობაში; დასახონ ამომწურავი ღონისძიებანი სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ საკავშირო ალკკ XI ყრილობის დადგენილების განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად. ამ დარგში მთელი მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ სკოლებში კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები, ახორციელებდნენ რა საკავშირო ალკკ XI ყრილობის დადგენილებებს, ხელს უწყობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაში ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთების აღზრდის საქმეს. კომკავშირის ორგანიზაციები უნდა იბრძოდნენ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლებისათვის, სკოლაში დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის.

განუხრელად განახორციელონ „საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო სამუშაოებით მოსწავლეთა გადატვირთვის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და ამ დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახული ღონისძიებანი.

მთელი მუშაობა სკოლაში და სკოლის გარეშე დაწესებულებებში წარმართონ იმგვარად, რომ იგი ხელს უწყობდეს სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. შეიმუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად 1950 წლიდან ქალაქად საშუალო სკოლის ფარგლებში და სოფლად რვაწლიანი სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ, რისთვისაც დაზუსტებულ იქნას სოფლად მე-5, ქალაქად კი მე-9 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და 1 სექტემბრიდან უზრუნველყოფილ იქნეს მათი მთლიანად ჩაბმა სკოლაში. მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები, რათა მთლიანად იქნეს ჩაბმული სწავლებაში სოფლად რვაწლიანი სკოლის ასაკისა და ქალაქად საშუალო სკოლის ასაკის ის ბავშვები, რომლებიც წინა წლებში გავიდნენ სკოლიდან, ამასთან 1949-1950 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად იქნეს შენარჩუნებული შესაფერის კლასებში მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი. ამ საქმეში ფართოდ იქნეს ჩაბმული მშრომელთა ფართო მასები.

მტკიცედ იქნეს დაცული განათლების სამინისტროს მითითებანი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის იმგვარად წარმოება, რომ იგი ნათელ სურათს იძლეოდეს მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ.

16. განათლების განყოფილებებმა გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა; გააძლიერონ თითოეული სკოლის ინსპექტირება და დახმარება მასწავლებლებისადმი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში; სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ სწავლაში ფორმალიზმს და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებში ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნების საქმეს; პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სისტემატურად მოაწყონ მასწავლებელთათვის ლექციები, საუბრები, მოხსენებანი, კონსულტაციები პოლიტიკურ, მეცნიერულ-პედაგოგიურ და სხვა საკითხებზე; ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს ჟურნალ-გაზეთებისა და ლიტერატურის შეძენის საქმეში; მთელი მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ მასწავლებლები დამოუკიდებლად მუშაობდნენ თავის თავზე, სისტემატურად ეცნობოდნენ მარქსიზმ-

ლენინიზმის კლასიკოსებს და ღრმად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას.

სერიოზული ყურადღება მიექცეს მოწინავე სკოლისა და მასწავლებლის საუკეთესო გამოცდილების განზოგადოებასა და გავრცელებას. სკოლის პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კომისიებისა და მეთოდგაერთიანებების მუშაობა იმგვარად წარიმართოს, რომ ის ნამდვილად ეხმარებოდეს მასწავლებელს და ხელს უწყობდეს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

სერიოზული ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს და საბოლოოდ აღიკვეთოს ამ დარგში არსებული დამახინჯებანი.

* * *

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ მოითხოვა სახალხო განათლების მთელი საქმის შემდგომი და არსებითი გაუმჯობესება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარება, მრავალცვლიანობისა და მეორეწლიანობის ლიკვიდაცია, სწავლების ხარისხისა და შინაარსის სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ პროგრამებისა და სასწავლო გეგმების სიმაღლეზე დაყენება უკლებლივ ყველა სკოლაში, ყველა საგანში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, მისი ადგილობრივი ორგანოები და სკოლები ვალდებულნი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებზე და მასწავლებლებზე ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება, განუწყვეტლივ და შეუნელებელი ენერგიით იზრუნონ სწავლების სამეცნიერო-თეორიული დონის ამაღლებისათვის, მოსწავლეთა მკვიდრი და ღრმა ცოდნით შეიარაღებისათვის და ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველჰყონ პარტიული ყრილობის მიერ დასახული საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით განხორციელება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

# ს ა ს წ ა ვ ლ ო   გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ მოზრდილთა რვაწლიანი და საშუალო ქართული სკოლებისა
1949—50 სასწავლო წლისათვის.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1949 წლის 10 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | საგნების დასახელება | კვირეული საათების რაოდენობა | | | | | | | | | წლიური საათების რაოდენობა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსამზადებელი კლასი | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ | მოსამზადებელი კლასი | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
| 1 | ქართული ენა | 7 | 4 | 4 | 3 | 2 | — | — | — | 20 | 245 | 140 | 140 | 105 | 70 | — | — | — | 700 |
| 2 | ქართული ლიტერატურა | — | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 24 | — | 105 | 105 | 105 | 105 | 140 | 140 | 140 | 840 |
| 3 | რუსული ენა | 7 | 7 | 7 | 6 | 6 | 3 | 3 | 2 | 41 | 245 | 245 | 245 | 210 | 210 | 105 | 105 | 70 | 1435 |
| 4 | რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | 2 | 3 | 3 | 8 | — | — | — | — | — | 70 | 105 | 105 | 280 |
| 5 | უცხო ენა | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | — | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 245 |
| 6 | ისტორია | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 4¹) | 4¹) | 22 | 70 | 70 | 70 | 70 | 70 | 140 | 140²) | 140²) | 770 |
| 7 | კონსტიტუცია | — | — | — | — | 1 | — | — | — | 1 | — | — | — | — | 35 | — | — | — | 35 |
| 8 | არითმეტიკა | 7 | 6 | 2 | — | — | — | — | — | 15 | 245 | 210 | 70 | — | — | — | — | — | 525 |
| 9 | ალგ.—გეომეტ.—ტრიგონ. | — | — | 3 | 6 | 4 | 6 | 6 | 5 | 30 | — | — | 105 | 210 | 140 | 210 | 210 | 175 | 1050 |
| 10 | ფიზიკა | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 12 | — | — | — | 70 | 105 | 105 | 70 | 70 | 420 |
| 11 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 35 | 35 |
| 12 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | — | — | 11 | 70 | 70 | 105 | 70 | 35 | 35 | — | — | 385 |
| 13 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | — | 12 | 70 | 70 | 70 | 70 | 70 | 35 | 35 | — | 420 |
| 14 | ქიმია | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 3 | 9 | — | — | — | — | 70 | 70 | 70 | 105 | 315 |
| 15 | ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | 1 | — | 1 | — | — | — | — | — | — | 35 | — | 35 |
| 16 | ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 35 | 35 |
| 17 | ხაზვა | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 2 | — | — | — | — | — | — | 35 | 35 | 70 |
| | ს უ ლ | 27 | 27 | 27 | 27 | 27 | 27 | 28 | 27 | 217 | 945 | 945 | 945 | 945 | 945 | 945 | 980 | 945 | 7595 |

¹) აქედან ერთი საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.
²) აქედან 35 საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოზრდილთა საშუალო სკოლაში, სადაც ფსიქოლოგია და ლოგიკა არ ისწავლება, X კლასში ფსიქოლოგიისათვის განკუთვნილი ერთი საათი დაემატება ქართულ ლიტერატურას, ხოლო XI კლასში ლოგიკისათვის განკუთვნილი ერთი საათი დაემატება ქართულ ლიტერატურას—გრამატიკაში V—VIII კლასებში გავლილი მასალის განმეორებისათვის.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების უფროსი ა. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა

Утверждаю
Министр просвещения Грузинской ССР В. Купрадзе
10 июля 1949 года.

# Учебный план

